დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნა

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თამარ ამზაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. ხათუნა კობიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
2. ვლადიმერ ბერუაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი)
3. მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი)
4. ნინო ვასაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
5. სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
6. თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
7. მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
8. მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
9. კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
10. ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პური
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	243881117

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხაშური
იურიდიული მისამართი	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქინძათი
ფაქტობრივი მისამართი	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქინძათი
საფოსტო ინდექსი	5700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kinzati@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	555 163 411

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება: №899305 (19.07.2023) №933935 (27.07.2023)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 17 და 18 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის,

				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ქინძათი
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ქინძათი
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ქინძათი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით, სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი.

ექსპერტების ჯგუფი წინასწარ გაეცნო სკოლის მიერ გადმოგზავნილ თვითშეფასებასა და შესამოწმებელ დოკუმენტთა ნუსხას, გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, შეიმუშავა დღის წესრიგი და შეფასების ეფექტიანად წარმართვისთვის, გადაანაწილა შესასრულებელი საქმიანობა.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით .

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ექსპერტების მიერ, დაზუსტდა სასკოლო დოკუმენტაციაში ასახული ფაქტები, ჩატარდა გასაუბრება სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, შეფასდა სკოლის ინფრასტრუქტურა, დისტანციურ რეჟიმში შედგა ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებსა და საგნობრივ ექსპერტებს შორის (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტისა, რომელმაც ადგილზე შეაფასა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შესაბამისობა). დისტანციურ შეხვედრას კოორდინაციას უწევდა ავტორიზაციის ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, რომელმაც საბოლოოდ გააერთიანა მეორე სტანდარტის საგნობრივი ექსპერტების შეფასება და შესაბამისობაში მოიყვანა დასკვნის ფორმასთან.

ვიზიტი წარიმართა კეთილგანწყობილ, თანამშრომლობით გარემოში. სკოლის ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას. დამუშავებული დოკუმენტების ანალიზის, სკოლის ინფრასტრუქტურისა ნახვის და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა მიგნებები, რომელიც ვიზიტის დასრულების შემდეგ გაეცნოთ სკოლის წარმომადგენლებს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ახალ შენობაში, პასუხობს უსაფრთხოების ყველა ნორმას და აღჭურვილია მოსწავლის საჭიროებისთვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსით. სასკოლო საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული სკოლის მისია და ეს იგრძნობა ეზოდანვე, რომელიც მრავალფუნქციურია და გაფორმებულია სკოლის ღირებულებებზე მორგებული გუნდური თამაშებით. სკოლის გუნდი ღიაა თანამშრომლობისთვის, ცვლილებებისთვის. ყველა მათგანი მონაწილეობდა განათლების სისტემის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებში და კარგად იცნობენ და ასრულებენ თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს. სკოლის დირექტორის მ/შ მოტივირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესებში ჩართული პროფესიონალია, რომელსაც აქვს შესანიშნავი იდეები და სკოლის სამომავლო განვითარების ხედვა. სკოლას აქვს ყველანაირი რესურსი (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური), რომ წარმართოს ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი, რითაც დააკმაყოფილებს როგორც სახელმწიფო სტანდარტის, ასევე მისი ძირითადი მომხმარებლის - მოსწავლის მოთხოვნებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---------- **150**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა მეტწილ შესაბამისად შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
ინდიკატორი		
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	*ხარვეზი*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო, საშუალო საფეხური	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისთვის შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9.10.2024)
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო და საშუალო საფეხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისთვის შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9.10.2024) სკოლამ უზრუნველყოს ლაბორატორიების მოწყობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერების გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისთვის, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9.10.2024)

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლამ შექმნას ცალკე დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს.
ინდიკატორი 3.2.1.5.	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.	შეიმუშაოს „ადამიანური რესურსების მართვის“ დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნება სკოლის პერსონალის მართვის ყველა საკითხი.

ინდიკატორი 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	სკოლამ მეტი ყურადღება დაუთმოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებას.
ინდიკატორი 3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სკოლას რჩევის სახით მიეცა, მშობელთა გამოკითხვები ჩაატაროს ელექტრონულად, რომელსაც გაცილებით მოქნილად გამოიყენებს და ასევე მიეცა რჩევა, შეიმუშაოს „მშობელთან კომუნიკაციის წესი“.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლამ, ექსპერტთა მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის შემდეგ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მტკიცებულებები სადაც დასკვის პროექტში ასახული დახარვეზებული სტანდარტის ინდიკატორები: 1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.1.4; 3.1.2.3; 3.4.1.1; 3.6.2.1; 3.6.3.4; 3.6.3.5; 4.1.1.3; 2.2.2.5 მთლიანად გამოსწორებულია. სკოლას ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის მზად აქვს:

- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგემები შემუშავებული და დამტკიცებული სასკოლო მეთოდოლოგიაში გაწერილი პროცედურის მიხედვით, რომელიც ასახავს სკოლის საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს და მისი შესრულების რეალისტურ გზებს;
- ყველა თანამშრომლის ცნობა კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად;
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მანდატურის სამსახურის მიერ სერტიფიცირებული თანამშრომელი;

- „საქმის წარმოების ერთიან წესთან“ შესაბამისობაში მოყვანილი სკოლის შიდა დოკუმენტბრუნვის ჟურნალები;
- ხელშეკრულება ყველა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან;
- დამტკიცებული სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, გაეთვალისწინებინა შესაბამისობის გეგმით ერთი წლის (9.10.2024) ვადით განსაზღვრული ვალდებულება, სკოლას მისცა რეკომენდაცია მოეწყო შიდა სპორტული დარბაზი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სპორტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისთვის და სტანდარტის შესაბამისობა ჩათვალა მეტწილად შესრულებულად.

ჩვენი აზრით მისასალმებელია ასეთი მზაობა და ოპერატიულობა, რაც სკოლას აძლევს შანს სრულფასოვნად დაიწყოს ახალი 2023-2024 სასწავლო წელი და განახორციელოს სასწავლო პროცესი უსაფრთხო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა სკოლის ვიზიტის შემდგომი საქმიანობა, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ხარვეზთა ნაწილი ჩაუთვალა სტანდართთან შესაბამისობაში და ნაწილი გადაიტანა სტანდართთან მეტწილად შესაბამისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

1. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. მისია წარმოადგენს სკოლის სასწავლო გეგმის და

სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველს. მისიაში ასახულია სკოლის მიზანი, შექმნას პოზიტიური, მზრუნველი მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო სასწავლო გარემო, აღზარდოს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის თანამედროვე ღირებულებების მქონე, მომავალი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოქალაქეები. სკოლა, სამომავალო ხედვაში თავს მოიაზრებს ლიდერ საგანმანათლებლო დაწესებულებად რაიონში, სადაც მოსწავლეები ხარისხიან განათლებასთან ერთად განივითარებენ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასა და პროფესიულ უნარებს და სადაც თემი თავს იგრძნობს მომავლის მოქალაქის თანამონაწილედ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართან.**

2. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა თავისი მისიითა და ხედვით საზღვრავს თავისი საქმიანობის ძირითად პრიორიტეტს - სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნას უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. ეს გაცხადებულია სკოლის 2022-2023 წლის სასწავლო გეგმაში და 2023-2024 წ/წლის სასწავლო გეგმის პროექტში. სკოლის დერეფნებში გამოკრულია სკოლის ღირებულებებზე შექმნილი პროექტების პრეზენტაციები, პლაკატები, გუნდური თამაშებისა და სხვადასხვა აქტივობების ვიზუალური მასალა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში, დირექტორის მ/შ-ს განცხადებით, ჩართული იყო პედაგოგიური კოლექტივი და მშობლები. მშობლებისთვის შედგენილი იყო სპეციალური კითხვარი, რომელიც ითვალისწინებდა მშობლის სურვილს თუ რა უნდა მისცეს მის შვილს სკოლამ ხანგრძლივ პერსპექტივაში. რა ცოდნას და უნარებს უნდა ფლობდეს მოსწავლე სკოლის დამთავრების შემდეგ და ა.შ. მშობლებისა და მასწავლებლების აზრის გათვალისწინების შემდეგ, სკოლამ შეიმუშავა სკოლის არსებული მისიის ახლებური ფორმულირება და შეათანხმა პედაგოგიურ საბჭოზეც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სკოლის ეზოში შექმნილი ლაბირინთი -„გზა წარმატებისკენ“. ლაბირინთიდან თავის დასაღწევად სწორად უნდა გაიარო გზა: სწავლა, მოვალეობები, პასუხისმგებლობები, გუნდურობა და წარმატება. ლაბირინთი შექმნეს მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა, რითიც მოახდინეს სასკოლო ფილოსოფიის რეალიზება და გაუზიარეს სხვებსაც. გარდა ამისა სკოლის სამოქალაქო კლუბის „პეგასი“-ის მიერ განხორციელდა პროექტი „მომავლის თაობა“, სადაც ასევე ჩანს სკოლის მიზნები და ღირებულებები გაზიარებული სხვადასხვა (VII-XI) კლასების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლას ატვირთული აქვს ვებ. გვერდზე. გამოკრული აქვს თვალსაჩინო ადგილას სკოლის შესასვლელში. სკოლის კედლებზე გამოკრულია სხვადასხვა სახის აქტივობა, სადაც პრაქტიკული საქმიანობით არის გაცხადებული სასკოლო ფილოსოფია და საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლაში მოსული ნებისმიერი პირისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის სახელწოდებაა სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა, რაც შესაბამისობაშია მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;**
- **მშობელთა გამოკითხვის მასალები და ანალიზი;**
- **სკოლის სამოქალაქო კლუბის „პეგასის“ პროექტის ვიზუალური მასალა**
- **სკოლის ეზოში დახატული ლაბირინთი "გზა წარმატებისკენ“**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ჩართულია სკოლის საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, დირექცია და მშობლები. მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

   - კითხვარების შემუშავება ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სუბიექტისთვის მათი კომპეტენციის შესაბამისად (ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი და სხვა);
   - სკოლის მონაცემების შეგროვება;
   - SWOT ანალიზი
   - საქმიანობის დაგეგმვა
   - განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგი

   შეგროვებული მონაცემების დამუშავების შემდეგ, ხდება გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული და/ან ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლამ, ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში, წარმოადგინა სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე დაფუძნებული ციკლური (შვიდწლიანი) სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომელიც შემუშავებულია მეთოდოლოგიაში გაწერილი ეტაპების მიხედვით. თუმცა, *<u>პროცედურა არ</u>*

არის ბოლომდე მიყვანილი და შესათანხმებელია სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებთან. შესაბამისად, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას არ აქვს სრულყოფილი სახე. სკოლის დირექტორის მ/შ აღნიშნა, რომ დაწყებული ჰქონდათ სამუშაო შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტზე მუშაობს ჯგუფი, რომელიც ძირითადად საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებისგან შედგება. ჩვენ ვნახეთ მშობლების გამოკითხვის შემდეგ დამუშავებული კითხვარები და საგნობრივი კათედრების ჯგუფური მუშაობის პრეზენტაციები. ეს სამუშაო პროცესები სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის შექმნასთან დაკავშირებით დაიწყო 30 ივნისს და დასრულდება სექტემბრის დასაწყისში, როდესაც, ყველა პროცედურის დაცვით, 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე, წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად. სკოლამ იმოქმედა შესაბამისობის გეგმის მიხედვით და წარმოადგინა, 4 სექტემბერს დირექტორის მ/შ ბრძანება N2-61-ით დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ბრძანების საფუძველია სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებთან შეთანხმება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. *სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის თანმდევია და მხოლოდ დაგეგმილი აქტივობებია მითითებული. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს ზეპირსიტყვიერად განაცხადა, რომ სკოლა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შექმნაზე მუშაობას დაიწყებს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის დოკუმენტზე მუშაობის დასრულების შემდეგ (ვიზიტის პერიოდში სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა სტრატეგიული გეგმის შექმნაზე). დირექტორმა ზეპირსიტყვიერად აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმა დაეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას და სკოლის საჭიროებებს. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.* სკოლამ იმოქმედა შესაბამისობის გეგმის მიხედვით და წარმოადგინა, 4 სექტემბერს დირექტორის მ/შ ბრძანება N2-62-ით დამტკიცებული სკოლის ერთწლიანი გეგმა. ბრძანების საფუძველია სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებთან შეთანხმება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. *სსიპ- ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გრაფიკულად არის მითითებული მხოლოდ დაგეგმილი საქმიანობები. არ არის განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, არც შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები, პირები და/ან სკოლის სტრუქტურული ერთეულები, არც შესაბამისი ადამიანური თუ ფინანსური რესურსი. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ვერ ასახავს სკოლის საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს და მისი შესრულების რეალისტურ გზებს.* წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა სრულად ასახავს სკოლის მოკლევადიან მიზნებ, რომელიც შედგება ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობებისგან. აქვეა განსაზღვრული მოსალოდნელი შედეგები, შესაძლო რისკები, სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- **2023 წლის 30 ივნისის პედსაბჭოს ოქმი N5;**
- **2023 წლის 27 ივნისის სამეურვეო საბჭოს ოქმი N3**
- **„სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;**
- **სასკოლო კათედრების მიერ გუნდურად შემუშავებული წინადადებების ვიზუალური მასალა სტრატეგიული განვითარების გეგმისთვის;**
- **სკოლის სტრატეგიული განვითარების 2023-2030 წლის გეგმია;**
- **სკოლის 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმა;**
- **სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება N2-61 (04.09.2023)**
- **სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება N2-62 (04.09.2023)**

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის ქოფელ ქინძათის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს, რომელიც განხილულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს 30 ივნისის სხდომაზე, ჰქვია „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, სადაც ვკითხულობთ: „სტრატეგიული და/ან სამოქმედო გეგმის, ასევე სასწავლო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სპეციალურად შედგენილი პროგრამის მიხედვით, სადაც გაწერილია ვადები, მიმართულებები, კრიტერიუმები და ამა თუ იმ ცვლილების განხორციელების არგუმენტი“. ვიზიტის პერიოდში სკოლის დირექტორის მ/შ ზეპირსიტყვიერად განაცხადა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, პირველივე პედაგოგიურ საბჭოზე მოხდება ჯგუფის წევრების წარდგინება, რომლებიც იხელმძღვანელებენ, მათ მიერვე, წინასწარ გაწერილი ვადებისა და დაგეგმილი საქმიანობების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული და/ან სამოქმედო გეგმის გაუმჯობესების პროცესს წარმართავს დირექტორის მ/შ და მასში ჩართულები არიან სკოლის სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო, პედაგოგიური და დისციპლინარული საბჭოების თავმჯდომარე, კათედრების ხელმძღვანელები, დამრიგებლები. შედეგები განიხილება და თანხმდება სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებზე. სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შემდეგ სკოლა შეიმუშავებს swot ანალიზს და დააფუძნებს მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას. სკოლა, ახალი სასწავლო წლიდან, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, გეგმავს სკოლის ადმინისტრირებისთვის აუცილებელი დოკუმენტების გადახედვას და ცვლილებების შეტანას. მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი მრავალმხრივი განვითარების მიზნით სკოლას შესყიდული აქვს საგანმანათლებლო რესურსები და განმავითარებელი სათამაშოები (ფაზლები სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისთვის, სპორტული ინვენტარი, სამაგიდო ინტელექტუალური თამაშები). სკოლა ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ეტაპობრივად ახდენს წიგნადი ფონდის გამრავალფეროვნებასა და შევსებას. ბიბლიოთეკა თანამშრომლობს სხვადასხვა გამომცემლობასთან და წიგნად ფონდს ავსებს საინტერესო გამოცემებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელის გააქტიურებაც პორტალზე მოხდა მიმდინარე ზაფხულის პერიოდში. სკოლას მასზე დაწყებული აქვს კანონით გათვალისწინებული სასკოლო რეგულაციების ატვირთვა. მათ შორის სკოლის განვითარებისთვის წარმოებული სხვადასხვა საქმიანობები და მათი შედეგები. ასევე გეგმავს შემდგომში გაგრძელებას და აქტივობების გამრავალფეროვნებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში ვიზიტის პერიოდში, ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე და მიუხედავად იმისა, რომ არ აქვს ოფიციალურიად დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების ციკლური (შვიდწლიანი) გეგმა და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმა, სრული მზაობა აქვს შემუშავებული სასკოლო ფილოსოფიიდან გამომდინარე, დაგეგმოს და იხელმძღვანელოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი საქმიანობების შეფასებისა და შედეგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც დასახავს მიზნებს შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **„სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;**
- **სკოლის ვებგვერდი;**
- **ინტერვიუ სკოლის დირექტორის მ/შ-თან.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში შექმნილია სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშმრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულებს შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამუშაო გეგმა, რომლის თანახმადაც მოქმედებენ. სკოლის დოკუმენტაციაში და ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ იქნებოდა განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, თუმცა თითოეული სტრუქტურული რგოლის სამოქმედო გეგმებში ეს ყველაფერი იკითხება. სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლაში დასაქმებული პირების (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ინფომენეჯერი, ექიმი და სხვ,) ფუნქციათა ჩამონათვალი, თუმცა პირადი საუბრებით დადგინდა, რომ ყველა მათგანი ფლობს შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უნარებს და კარგად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობებს. რეკომენდაცია - სკოლამ შექმნას ცალკე დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**;

2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობით, რაც დაადასტურა სკოლის დირექტორის მ/შ და სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმებსა და მათ მიერ წარმოეულ სხდომების ოქმებშიც არის ეს ასახული. რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ კარგად ჩანს ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საშტატო განრიგი;**
- **თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები;**
- **სამეურვეო საბჭოს 2022-2023 სასწ. წლის სამოქმედო გეგმა;**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმები N1; N2; N3; N4; N5;**
- **პედაგოგიური საბჭოს 2022-2023 სასწ. წლის სამოქმედო გეგმა**
- **პედაგოგიური საბჭოს ოქმები N1; N2; N3; N4**
- **დისციპლინარული კომიტეტის 2022-2023 სასწ. წლის სამოქმედო გეგმა**
- **დისციპლინარული კომიტეტის ოქმი N1; N2;**
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმები N1; N2; N3; N4**

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შრომის შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს. შინაგანაწესში გაწერილია დაწესებულების ვალდებულებები, რომელიც აუცილებელია სასკოლო საზოგადოებისათვის სათანადო შრომის პირობების შესაქმნელად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის თანამშრომლების პირადი საქმეებიც. პედაგოგების პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა შესაბამისობა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (Eschool) სკოლის პერსონალის პორტირებულ მონაცემებთან. სკოლის ყველა მასწავლებელს უდასტურდება სტატუსი როგორც სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ისე პირადი საქმეების დოკუმენტაციით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა საქმიანობს დამტკიცებული შინაგანაწესის შესაბამისად, სადაც შრომის ორგანიზების გარდა განსაზღვრულია ყველა პირობა, რასაც უნდა იცავდეს დასაქმებული და მოსწავლე, ასევე დისციპლინარული საქმის წარმოების პირობები. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის შესასვლელში და დირექტორის მ/შ განცხადებით, შინაგანაწესის პირობები ცნობილია მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინარული რეგულაციების საფუძველზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები, რომელთა შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევა ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.
   თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ *სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში დასაქმებულია 24 თანამშრომელი, რომელთაგან მხოლოდ 16 აქვს წარმოდგენილი ერთი ცნობა „ნასამართლეობის შესახებ“; ორ მათგანს აქვს 2 ცნობა - ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ*

მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. ექვს თანამშრომელს არ აქვს კანონმდებლობით დადგენილი არც ერთი ცნობა. ამის გათვალისწინებით. შვებულებიდან გამოსვლი შემდეგ, თანამშრომლებმა მიიტანეს სკოლაში კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები, რომელიც დირექტორმა გადმოაგზავნა მტკიცებულების სახით. ამჟამად **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის თანამშრომლების პირადი საქმეების და მათ მიერ განხორციელებული საგაკვეთილო და სასკოლო აქტივობების ვიზუალური მასალისა და პროექტების შესწავლის შედეგად, ასევე მართვის საინფორმაციო სისტემიდან აღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ განმარტებით, სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა და საგანმანათლებო პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. ექსპერტთა ვიზიტის დროს შეფასდა ვიზუალური მასალა, რომელიც ასახავდა საგნობრივ კათედრებზე ჩატარებულ „ტვინის შტურმის“ შედეგად მიღებულ წინადადებებს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისთვის. შესრულებული სამუშაოების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს გუნდურად სკოლის პერსონალის და სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სკოლის ინტერიერი ისეა მოწყობილი და ვიზუალურად გაფორმებული, რომ კარგად ჩანს ორგანიზაციის თანამშრომლობითი კულტურა და ღირებულებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის შენაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომლების წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ჩანს სასკოლო პროექტების ამსახველ მასალაში. ასევე, ინტერვიუირების დროს სკოლის თანამშრომლებმა გაუზიარეს ექსპერტებს ინფორმაცია ერთობლივად დაგეგმილ პროექტებზე, რომელთა განხორციელებამ სასკოლო საზოგადოებაზე დადებით გავლენა იქონია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის შინაგანაწესი;**
- **საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანება;**
- **საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;**
- **თანამშრომელთა პირადი საქმეები;**
- **შრომითი ხელშეკრულებები;**
- **Eschool ბაზის მონაცემები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ეს შეფასება ხორციელდება მათი პროფესიული განვითარებისთვის და წინსვლისთვის. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება-შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა სკოლის ბაზაზე წარმოდგენილია კათედრების გეგმებში. ასევე გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მნიშნელოვან ნაწილად, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხდება ურთიერთსწავლებით, შეხვედრებით, კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით. სკოლას ნაკლები ყურადღება ჰქონდა გამახვილებული სხვა პერსონალის საჭიროებების დადგენაზე და მის საფუძველზე გეგმის შედგენაზე, ამიტომ რჩევა მიეცა მეტი ყურადღება დაუთმოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. სკოლის პედაგოგები რეგულარულად ესწრებიან სტატუსის შესაბამისად, მათთვის განკუთვნილ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს მასწავლებლის სახლის მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატები. ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება. ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები, რომლითაც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენა გახდა შესაძლებელი. გარდა ამისა, სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში, პროექტებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში, ახალი თანამშრომლის, ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მ/შ და საგნობრივი კათედრა. ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. სკოლის დირექტორის მ/შ-სთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლაში არ ხდება კადრების ხშირი ცვლილება და რადგან სკოლა ისედაც მცირეკონტინგენტიანია, თემზე მორგებული, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, ხოლო სკოლაში თანამშრომლობითი და კოლეგიალური ურთიერთობებია, ახალ თანამშრომელს ადაპტაცია არასდროს არ გასჭირვებია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრები ურთიერთთანამშრომლობით არაერთ მნიშვნელოვან ინიციატივას ნერგავენ. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა კათედრების სამოქმედო გეგმები, სადაც მოცემულიიყო კათედრის წევრების ინიციატივები პროექტების სახით. ინტერვიუირების დროს დაასახელეს არაერთი პროექტი, რომელიც მოსწავლის იდეით თუ მასწავლებლის ინიციატივით იყო წამოწყებული. ამ პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განხორციელება სკოლის მხრიდან დიდ მხარდაჭერაზე მიუთითებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს „ადამიანური რესურსების მართვის“ დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნება სკოლის პერსონალის მართვის ყველა საკითხი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;**
- **ურთიერთდასწრების მასალები;**
- **ინტერვიუ სკოლის დირექტორთან და თანამშრომლებთან;**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი, რომლითაც დგინდება რომ ჯგუფის მიზანია მასწავლებლების კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, ამისათვის ჯგუფის წევრები არამარტო აწარმოებენ მასწავლებლების მუშაობის მონიტორინგს, არამედ მუდმივად უკუკავშირის რეჟიმში არიან და საჭირო რჩევებით უზრუნველყოფენ სწავლის ხარისხის ამაღლებას.

ასევე, სკოლის დირექტორის მ/შ-თან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით და მზად არიან უზრუნველყონ სკოლაში ხარისხის უწყვეტი ციკლი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბიბლიოთეკარმა, ბუღალტერმა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურებს. მასწავლებლის და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის და პასუხისმგებლობის სახეები (ცალ-ცალკე), დისციპლინური წარმოების წესი (მოსწავლისთვის და მასწავლებლისათვის), განცხადების და საჩივრის განხილვის წესი და ა.შ. სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგთა შესარჩევ კონკურსებთან დაკავშირებით, სკოლაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშკრულების პირობების გაცნობით, შინაგანაწესის გაცნობით კლასის დამრიგებლის მიერ ჩანიშნულ კრებაზე. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები. **ინდიკატორი**

შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის შინაგანაწესი;**
- **შრომითი ხელშეკრულებები;**
- **ხარისხის განვითარების ჯგუფის სხდომის ოქმი №2;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სკოლის Microsoft Teams - ის პლატფორმას, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს. პედაგოგებთან და საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ სკოლა სოციალურ ჯგუფებში ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სასწავლო რეჟიმის, არაფორმალური განათლებისაქტივობების შესახებ. სკოლა ახორციელებს მშობლების კვლევების სპეციალური კითხვარების საშუალებით, რომელიც მატერიალური სახით მიეწოდება სკოლის წარმომადგენლებს. დირექცია განიხილავს შემოსულ წინადადებებს და მათ სურვილებს ასახავს სასკოლო საქმიანობაში. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება მშობლებთან კომუნიკაცია. დირექტორის მ/შ განმარტავს, რომ რადგან სკოლა მცირეკონტინგენტიანია, ამასთანავე სოფელიც

პატარაა მშობლებთან კომუნიკაციას თითქმის ყოველდღიურად ამყარებს კლასის დამრიგებელი და ის აწვდის ინფორმაციას ყველა საკითხზე. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას და ა.შ. გარდა ამისა, სკოლაში იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც მასწავლებლები მშობლებს საკუთარი შვილის შედეგების შესახებ აწვდიან ინფორმაციას. სკოლას რჩევის სახით მიეცა მშობელთა გამოკითხვები ჩაატაროს ელექტრონულად, რომელსაც გაცილებით მოქნილად გამოიყენებს და ასევე მიეცა რჩევა შეიმუშაოს „მშობელთან კომუნიკაციის წესი“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. ყველა სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია პარიტეტულ საწყისზე. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მყოფი მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური კომიტეტიც მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას (ოქმები, გადაწყვეტილებები), რამაც ნათლად დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;**
- **სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმები (თვითმმართველობა, პედ. საბჭო);**
- **მშობელთა კითხვარები და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა არის ახლად აშენებული, მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის მიერ, რომელმაც ჩაიბარა კიდეც შენობა და სკოლას გადასცა 2022-2023 სასწავლო წელს. *<u>ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლამ სრულყოფილად ვერ წარმოადგინა, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დასკვნა.</u>* სკოლის ტერიტორია, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემოღობილია, მოწესრიგებულია სკოლის ეზო. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, სკოლის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებულია კამერები. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისთვის, სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო

სიტუაციების მართვის სამსახურთან და შპს „გრავიტა“ -სთან წარმოებული კორესპონდენცია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის შენობას ჩაუტარდა სახანძრო-ტექნიკური შემოწმება და მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული, სკოლის „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ და ბრძანებით განსაზღვრული შტაბის შემადგენლობა.

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 65/ნ ბრძანებით, რომელიც არეგულირებს სკოლებში უსაფრთხოებისა და საზ. წესრიგით დაცვის მიზნით განსაზღვრული პირის გადამზადების წესს, რომლის მიხედვითაც, იმ სკოლებში სადაც არ არის მანდატური, *<u>სკოლას უნდა ყავდეს მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული პირი, რომლის უფლებამოსილებაში შევა მთელი რიგი უსაფრთხოების საკითხები, მათ შორის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.</u>*

ასევე, სკოლამ წარმოადგინა ბრძანება (№2-04; 05.02.2019) უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ; ბრძანება (№2-10; 07.04.2023), რითაც განსაზღვრულია ბავშვთა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ზემოაღნიშნული ბრძანებით დადგენილ შესაბამისად აღჭურვილ სამედიცინო კაბინეტში. ვიზიტის პერიოდში შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მედიკამენტების ვარგისიანობა, რომელიც წესრიგში იყო. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვითაც შენობა მდგრადობის თვალსაზრისით საიმედოა და მასში გამართულია სავენტილაციო, გათბობის, წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემები და შესაძლოა მისი უსაფრთხო ექსპლუატაცია. სკოლას ყავს მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული სერტიფიცირებული პირი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი; საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის ღამის დარაჯი და მორიგე პედაგოგები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული - მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის

დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, რომლიც უზრუნველყოფდა კონკრეტული შემთხვევების მართვას და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას. თუმცა გამომდინარე მცირე კონტინგენტიდან, ორგანიზაციული კულტურიდან და განხორციელებული საქმიანობიდან, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოა. ამას მოწმობს სხვადასხვა კლასის მოსწავლეების მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტების ვიზუალური მასალა, მათ შორის თემა - „ადრეული ქორწინება და სირთულეები". სკოლის დერეფნებში მოწყობილია თავისუფალი სივრცეები, რაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განიტვირთონ ემოციურად, დაიკმაყოფილონ ინტერესები. ეს ყველაფერი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეების და სკოლაში დასაქმებული სხვა თანამშრომლების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომელთა ფუნქციებში გაწერილია დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. სკოლის ეზოში, ცალკე აშენებულ შენობაში, ყველა სტანდარტის გათვალისწინებით დგას წყლის რეზერვუარები, რომლის ტევადობა 1500 ლიტრია. წყალი გამოიყენება დასალევადაც და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფადაც. ვიზუალური დათვალიერებით, სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ნორმები და ჰყავს 2023 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით N2-36 განსაზღვრული პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ასევე წარმოადგინა ყველა მშობლისგან გაცემული თანხმობა, სასკოლო აქტივობების დროს გადაღებული სურათების სკოლის შეხედულებისამებრ გამოყენების თაობაზე. ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმა ზეპირსიტყვიერადაც აღნიშნა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს და იცავს პერსონალურ მონაცემებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალიერებით და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დაადგინა, რომ სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები დაცულია, შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

7. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც რეგულარულად ატარებს სხდომებს. სხდომებზე განხილულია სხვადასხვა საკითხი, რომელიც ძირითადად მიმართულია სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სკოლის დირექტორის მ/შ-ის განმარტებით ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს სტრუქტურირებული კითხვარებით უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ექიმის ხელშეკრულება;**
- **გაგზავნილი კორესპონდენციები;**
- **ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;**
- **ბრძანება ბავშვის რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;**
- **დამლაგებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;**
- **დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება;**
- **ინტერვიუს შედეგები;**
- **ვიზუალური დათვალიერება.**
- **სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა,**
- **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ბრძანებაN2-64; 06.09.2023)**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას ავტორიზაციის განაცხადი შევსებული აქვს 150 მოსწავლეზე. სკოლის შენობა არის 2 სართულიანი. სკოლა არის ახლად აშენებული, მიმდინარე სასწავლო წელს შევიდა ექსპლუატაციაში და განაახლა სწავლება ახალ შენობაში. მანამდე სკოლა, სტუმრის სტატუსით, სწავლებას აწარმოებდა სოფელ ალის სკოლის შენობაში, მეორე ცვლის რეჟიმში. სკოლის სრული რეაბილიტაცია განახორციელა ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდმა და თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა სრული დაცვით აღჭურვა კიდეც შენობა. მთელ შენობაში, სხვადასხვა ადგილას განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და დეტექტორები. სკოლის ეზოში ცალკე დგას წყლის რეზერვუარები, რომლის ტევადობა 1500 ლიტრია. პირველ სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის ოთახი, 2 სველი წერტილი, მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, დერეფნებში მოწყობილი თავისუფალი სივრცე მოსწავლეებისთვის. სამასწავლებლო, ლაბორატორიები და კაბინეტები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველა მასწავლებელს. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა შესაძლებლობას, რომ სკოლამ საგანმანათლებლო პროცესი წარმართოს ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (დარბაზი, ლაბორატორიები და სხვ.), ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება 1000-მდე წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, გერმანულენოვანი და ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, შენობა მთლიანად ადაპტირებულია ყველა კატეგორიის მოსწავლისთვის. სკოლას შესასვლელში აქვს პანდუსი, შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი. ყველა სველი წერტილი და საპირფარეშო ადაპტირებულია, სკოლას ჰყავს სპეც. პედაგოგი და აქვს ყველანაირი საჭიროებით აღჭურვილი რესურს ოთახი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი აღიქმებოდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია და ჩანს სხვადასხვა სოციალური აქტივობების შესაძლებლობა. დახაზულია წრე, სადაც ბავშვებს შეუძლიათ ცეკვა წრეზე მითითებული მოძრაობების მიხედვით, დახაზულია ლაბირინთი „გზა წარმატებისკენ", სადაც კარგად არის გაცხადებული სკოლის მისია და ღირებულებები. სკოლას აქვს გარე მოედანი. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები. როგორც სკოლის დირექტორის მ/შ-თან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, იგეგმება მათი კეთილმოწყობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას შერჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, ბიბილიოთეკაშია მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ რესურსებსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საჯარო რეესტრის ამონაწერი;**
- **ვიზუალური დათვალიერება;**
- **მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი);**
- **შენობის აზომვითი ნახაზი;**
- **ინვენტარიზაციის შედეგები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობაზე გათვლილი კომპიუტერული ტექნიკით, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ასევე უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, გამოყოფილია საზიარო სივრცეები, რითიც გაზრდილია ხელმისაწვდომობა ციფრულ ტექნილოგიებზე. მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ მთელი სამუშაო კვირის განმავლობაში. ბიბლიოთეკაში სამუშაო სივრცეში კი შეეძლებათ მუშაობა ნებისმიერ დროს, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოსწავლეებისათვის

განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი არის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ციფრული განვითარების გეგმა;**
- **ვიზუალური დათვალიერებით.**

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას 2023 წლის 08 აგვისტოს, დირექტორის მ/შ N2-34 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ერთიანი საქმის წარმოების წესი“, თუმცა შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაცია და დოკუმენტბრუნვა ხდება მხოლოდ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. ადგილზე ვიზიტის დროს მოთხოვნილი იქნა სკოლის შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები, რომელიც სკოლამ ვერ წარმოადგინა:

- *<u>საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები).</u>*

- *შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.*
- *სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების აღრიცხვის სარეგიტრაციო ჟურნალი;*
- *მობილობის დროს (სხვა სკოლაში გადასული და სხვა სკოლიდან გადმოსული) მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *სკოლის საქმისწარმოების წესის თანახმად, სკოლას შემოსული დოკუმენტაციის ჟურნალში არ ჰქონდა გატარებული შემოსული და გასული კორესპონდენცია (მაგალითად მატერიალურად შემოსული წერილები, განცხადებები არ იყო ჟურნალში გატარებული).*

სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანა სკოლის შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები „საქმის წარმოების ერთიან წესთან“ და მტკიცებულების სახით წარმოადგინა ხუთივე ჟურნალის ქსეროასლი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთა მმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება Eflow სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;**
- **ვიზუალური დათვალიერება;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას აქვს ვებ-გვერდი
   [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)](emis.ge).
   სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100063481565590 სადაც თავსდება განხორციელებული და მიმდინარე პროექტებისა და ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, შეჯიბრებების და სხვა) შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომელთა საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო კავშირის მეშვეობითაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართან.**

2. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას არ აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, მაგრამ ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორის მ/შ განაცხადა, რომ რადგან სკოლა მცირეკონტინგენტიანია, მშობლებთან კომუნიკაცია ძალიან უმარტივდებათ და ძირითადად ხდება დამრიგებლის მეშვეობით. ასევე, განსაზღვრულია პარასკევი დღე, როგორც მშობლების დღე. ამ დღეს მოდიან მშობლები და სურვილის და საჭიროების მიხედვით ესაუბრებიან მასწავლებლებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც ახალი შექმნილია და ქართულ ენაზე ხდება სკოლის აქტივობებით შევსება. სკოლაში ვიზიტის დროს ვებგვერდი არ იყო სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნებით შევსებული. სკოლის დირექტორის მ/შ-ს განცხადებით, ახალი სასწავლო წლიდან ვებ გვერდზე ქართულად განთავსდება ყველა საჯარო დოკუმენტი და ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. სკოლამ, შესაბამისობის გეგმაში, მტკიცებულების სახით წარმოადგინა სტანდარტის მოთხოვნებით შევსებული ვებ.გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/2473 **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელის შევსებაც დაწყებულია. დირექტორის მ/შ-ის განცხადებით, ამ გვერდზე ახალი სასწავლო წლიდან აიტვირთება სასკოლო საზოგადოების მიერ განხილული და დამტკიცებული გეგმები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. თუმცა, რადგან ვიზიტის დროს ვებ გვერდზე არ იყო განთავსებული კანონმდებლობით განსაზღვრული აუცილებელი ინფორმაცია. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ამჟამად სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებულია სასკოლო საზოგადოების მიერ განხილული და დამტკიცებული გეგმები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ვებ გვერდი;**
- **სკოლის ფბ გვერდი;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. სკოლას დამატებითი დაფინანსების წყარო და/ან ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფინანსური სახსრები, რომელიც კანონმდებლობით არის ნებადართული, არ გააჩნია. ამ ეტაპზე სკოლის ბიუჯეტი საკმარისია სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებზე და ცოტა დანაზოგიც აქვთ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ პედსაბჭოს თავმჯდომარის, საგნობრივი კათედრების, სკოლის დირექციის, მათ შორის ბუღალტრის და ადმინისტრაციის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა დირექტორის ანგარიში, სადაც აღწერილია მთელი წლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარჯთაღრიცხვა. დირექტორის მ/შ სკოლის ფულადი სახსრების რაციონალურად განკარგვისთვის წინასწარ ადგენს ფინანსურ გეგმას, სამეურვეო საბჭო ითანხმებს ამ გეგმას და თვალყურს ადევნებს მის განკარგვას. შესყიდვების გეგმა შედგენილია ნოემბრის თვეში, ბაზრის კვლევის საფუძველზე. ასევე გათვალისწინებულია კორექტირების შესაძლებლობა, რომელიც თანხმდება სამეურვეო საბჭოსთანსაჭიროების შემთხვევაში. სკოლამ წარმოადგინა სკოლის ბიუჯეტი, ასევე ფინანსური გეგმა,შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტის დამტკიცებისა და ცვლილების ოქმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის 2022-2023 წლის დამტიკიცებული ბიუჯეტი;**
- **სკოლის 2022-2023 წლის შესყიდვების გეგმა;**
- **სკოლის დირექტორის მ/შ წლიური ფინანსური ანგარიში;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლაში დასაქმებული პირების მიერ უფლებამოსილების ფარგლებში. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლების ხელმისაწდომი გარემოს შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა სასწავლო რეჟიმი, მათი უფლებები, პასუხისმგებლობები. სკოლას შემუშავებული და ყველა საკლასო ოთახში გამოკრული აქვს მოსწავლის ქცევის კოდექსი. სკოლას ყველა მშობელთან გაფორმებული აქვს „თანხმობის წერილი“, რის მიხედვითაც სკოლა, თავისი შეხედულებისამებრ, ახდენს სკოლის ფბ და ვებ გვერდზე მოსწავლეთა აქტიობებისა და სურათების გამოქვეყნებას. სკოლაში, მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია უცხო პირთა გადაადგილების წესი, რომლის განხორციელებას მეთვალყურეობას უწევს სპეციალური მორიგეობის ცხრილის მიხედვით გადანაწილებული სკოლის თანამშრომლები და ღამის დარაჯი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სსსმ მოსწავლეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე ინკლუზიური განათლების სპეციალისტი-ერთი სპეცპედაგოგი. ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების)

პროცედურების განხორციელებაზე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, თუმცა ამასთან დაკავშირებული სპეციალური შიდა ინსტრუქცია სკოლას არ აქვს შემუშავებული. სკოლაში შექმნილია „მრჩეველთა საბჭო," რომლის საქმიანობაც ორიენტირებულია სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების რეალიზებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, შემუშავებულია შიდა ინსტრუქციები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. თითოეული დოკუმენტი არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლაში გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები შესაბამისი ნიშნულებით თვალსაჩინო ადგილას. სკოლის შინაგანაწესი კლასის ხელმძღვანელების მიერ გაზიარებულია სასწავლო წლის დაწყებისთანავე მშობელთა კრებებზე, ასევე სოციალურ ქსელში სპეციალურად შექმნილ მშობელთა სივრცეებში, სადაც მათ ეძლევათ საშუალება დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება კომენტარების სახით. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია გვერდის ინფორმაციულ უზრუნველყოფასა და გამართულ მუშაობაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. *<u>სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან, ამ ეტაპზე არ აქვს ხელშეკრულება, სადაც ასახული იქნებოდა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მათი დაცვის გარანტიები.</u>* სკოლამ ეს ახსნა იმ გარემოებით, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში, სტუმრის სტატუსით, იმყოფებოდნენ სოფელ ალის საჯარო სკოლაში, რადგან ქინძათის საჯარო სკოლა დაანგრიეს და მიმდინარეობდა მშენებლობა. სკოლის დემონტაჟმა და გადასვლის პროცესმა გამოიწვია გარკვეული პრობლემები, როგორც საქმის ადმინისტრაციულ წარმოებაში, ასევე ძველი დოკუმენტაციის და მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებაში. ახალი სკოლის შენობამ სიტუაცია დაასტაბილურა და სკოლის ადმინისტრაციის ზეპირსიტყვიერი განცხადებით, შემუშავებული აქვს სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებული აქვს მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან ხელშეკრულებების გაფორმება. სკოლამ, შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა უკვე შესრულებული საქმიანობა და ყველა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **სკოლის შინაგანაწესი;**
- **სკოლის თანამშრომელთა მორიგეობის დამტკიცებული ცხრილი;**
- **„მრჩეველთა საბჭოს ოქმები“;**
- **მშობლების „თანხმობის წერილები“**
- **ხელშეკრულებები მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან;**

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმი, სადაც გაწერილა მოსწავლეთა შეფასების სასკოლო სისტემა, სასკოლო გამოცდების ტიპები. მშობლებსა და მოსწავლეებს, დამრიგებლები, როგორც პირისპირ ასევე სოციალური ქსელით აწვდიან ინფორმაციას სემესტრული

გამოცდებისა და გაცდენების ექსტერნის გამოცდების შესახებ (30%) რა დროსაც მათ შეუძლიათ გამოიყენონ კანონიერი უფლება სკოლის ექსტერნის, სემესტრული გამოცდების ჩატარების წინ ყველა მოსწავლეს წინასწარ შექმნილი გრაფიკის საფუძველზე უტარდებათ კონსულტაციები. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად, ხოლო მობილობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანების მიხედვით. სკოლა არსებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში იღებს ყველა მოსწავლეს, დისკრიმინაციის გარეშე. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება მოწესრიგებული ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში ხდება განსხვავებულ ვადებში (I ეტაპზე) მშობლის განცხადებისა და მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე. საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევის ინფორმაცია განიხილება და მტკიცდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში (ყავს 2 სსმ მოსწავლე) მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასებიდან გამომდინარე შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმები. სკოლას შემუშავებული აქვს რესურს ოთახში მასწავლებლებთან შეხვედრის გრაფიკი. მათთან ინდივიდუალურად მუშაობს სპეც. პედაგოგი. სსსმ მოსწავლეთა არსებული კონტინგენტი, ამ ეტაპზე, არ საჭიროებს ინდივიდუალურ ასისტენტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის თანამშრომლები მოქმედებენ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, სატელეფონო კომუნიკაციისა თუ პირადი შეხვედრებისას ისინი დაინტერესებულ პირებს აწვდიან საჭირო ინფორმაციას. პროგრამებისა თუ სხვადასხვა მომსახურებების შესახებ ინფორმაცია არის

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას აქვს ვებ. გვერდი და ფბ გვერდი, სადაც იდება სხვადასხვა ინფორმაცია საგანმანათლებლო სისტემაში და უშუალოდ სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების შესახებ. გვერდი არის გამჭირვალე და არადისკრიმინაციული. სკოლას ყველა მშობელთან გაფორმებული აქვს „თანხმობის წერილი", რის მიხედვითაც თავისი შეხედულებისამებრ, ახდენს სკოლის ფბ და ვებ გვერდზე მოსწავლეთა აქტივობებისა და სურათების გამოქვეყნებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შინაგანაწესი;**
- **საინფორმაციო სისტემის Eschool-ის ბაზა;**
- **მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების ბრძანებები;**
- **მოსწავლეთა პირადი საქმეები;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა ზრუნავს მოსწავლეზე და მის საჭიროებებზე. ამ მიმართულებით ძირითადი საქმიანობა უწევთ დამრიგებლებს და რესურსოთახში დასაქმებულ სპეციალისტს (სპეც. პედაგოგი) სკოლა მთლიანად ადაპტირებულია, სკოლის შემოსასვლელში არის პანდუსი. დამონტაჟებულია ლიფტი. ასევე, სკოლას ჰყავს სპეციალური განათლების მასწავლებელი. არ ყავს ფსიქოლოგი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგი ერთვება საქმის წარმოებაში. რესურს ოთახი აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური და შემეცნებითი უნარების განვითარებას. შერჩევითი პრინციპით გადამოწმებულ კლასის დამრიგებლის სამუშაო ჟურნალში (მეორე, მესამე, მეექვსე,

მეშვიდე და მეთერთმეტე კლასები), თავმოყრილია და სისტემურად გაწერილი აქტივობები, რასაც დამრიგებელი ახორციელებს მთელი წლის განმავლობაში. კლასის სამოქმედო გეგმები, დამრიგებლის ანგარიშები, საკლასო კრებები, განსახილველი თემები, კლასის საჭიროებები. პერსონალური ინფორმაციიდან გამომდინარე, დამრიგებლის ჟურნალში არ არის გამოყოფილი ცალკეული მოსწავლის საჭიროება, თუმცა ინტერვიუს დროს მათ მოიყვანეს მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული კონკრეტული მაგალითები (ინტერვიუს დროს არ მოხდა მოსწავლის იდენტიფიცირება). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის მოსწავლეები, საჭიროებიდან გამომდინარე, სარგებლობენ სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების მხარდაჭერით არაფორმალური რემედიაციის ფარგლებში. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ დამრიგებლის ჟურნალში აღწერილია აქტივობები, რომელიც ხორციელდება მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროების თუ სურვილის გათვალისწინებით. სკოლის ეზოში გაკეთებული ყვავილნარი და სხვა. აქვეა მათი წახალისების დამადასტურებელი ჩანაწერები. **ინდიკატორი შესაბამისობაში სტანდარტთან.**

3. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სასკოლო გამოცდების ტიპებს და მისი ჩატარების წესს. აქვე დაფიქსირებულია სასკოლო გამოცდებისთვის მოსწავლეთა მხარდაჭერის საკონსულტაციო მიდგომა. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლას, მიმდინარე სასწავლო წელს, არჩეული აქვს ეროვნული გეგმით შემოთავაზებული მოსწავლეთა აკადემიური შეფასების პირველი მოდელი. მოსწავლეების შეფასება ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. დირექტორის მ/შ გასაუბრებით დადგინდა, რომ განმავითარებელი შეფასების პროცესში ფასდება მოსწავლის როგორც საკლასო ოთახში მიღებული გამოცდილება, ისე კომუნიკაციის სხვა საშუალებებით მიღებული ცოდნა, მასალა, სასკოლო აქტივობები, განხორციელებული პროექტები და სხვა. მისივე განცხადებით, შემაჯამებელი დავალებები მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას შექმნას მუდმივი გაუმჯობესების საფუძვლები რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასება გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ცოდნის შესაფასებლად, არამედ მოსწავლის სწავლის პროცესის განვითარების ხელშესაწყობად, მოსწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**

4. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორის განცხადებით, მოსწავლეებს აქვთ მუდმივი მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. სკოლას, ბოლო წლებში, არ ჰქონია 30% გაცდენების ექსტერნის, სემესტრული გამოცდების ჩატარების საჭიროება. ერთმა მოსწავლემ ჩააბარა ასაკობრივი ექსტერნის მე-11 კლასის გამოცდები. სკოლის დირექტორის მ/შ-ს ზეპირი განცხადებით, სკოლის ყველა მასწავლებელი გამოთქვამს მზადყოფნას საგნობრივი კონსულტაციებისთვის. ინტერვიუდან დგინდება, რომ ადმინისტრაცია და მასწავლებლები მუდმივად ღია არიან მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. მათ ჩაატარეს სხვადასხვა ღონისძიება. მაგალითად: „სასკოლო ვიქტორინა“, „9 აპრილთან დაკავშირებული ღონისძიება“, „ოკუპაცია“, პროექტი „ადრეული ქორწინება“. პროექტის ფარგლებში მოხდა თემის გამოკითხვა, რომელიც ჩაატარეს მეცხრე კლასის მოსწავლეებმა და დაამზადეს ვიდეო რგოლი, რომელიც ატვირთულია ფბ გვერდზე. სამოქალაქო განათლების მასწავლებელთან ერთად დაგეგმეს და ჩატარეს „ფორუმ-თეატრი“ ქალთა უფლებების დაცვასა, ოჯახურ თუ სასკოლო ძალადობასთან დაკავშირებით. სკოლაში არის თავისუფალი სივრცეები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებისთვის. სკოლაში, USAID პროექტის ფარგლებში, დაარსებულია სამოქალაქო განათლების კლუბი „პეგასი“, რომელმაც განახორციელა პროექტი „მომავლის თაობა“; „ჩვენ გვიყვარს კითხვა“. ეს დადასტურდა კიდეც სკოლის ფბ გვერდის დათვალიერებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო კლუბებში და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, ბავშვები კლასის დამრიგებლებისა და მასწავლებლების თანამონაწილეობით, დიდი სიამოვნებით ახორციელებენ სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებებს. ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, ქვეყნდება სკოლის ფბ გვერდზე. სკოლის დირექციის განცხადებით, მუდმივად ხდება ღონისძიებებში და სასკოლო აქტივობებში ჩართული მოსწავლეების წახალისება დიპლომებით, სიგელებით და პატარა სამახსოვრო საჩუქრებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, მუდმივად აძლევენ სასკოლო საზოგადოებას საშუალებას, დააფიქსირონ საკუთარი აზრი და სურვილი. მათი სურვილების გათვალისწინებით ხდება სხვადასხვა სასკოლო აქტივობის დაგეგმვა. თუმცა არ ჩანს გამოკითხვის მეთოდოლოგია, აღსრულების მექანიზმი. სად და როგორ იქნება გათვალისწინებული მათი სურვილები. დირექტორის მ/შ-ს ზეპირი განცხადებით, სკოლა იმდენად მცირეკონტინგენტიანია და სოფელიც პატარაა, რომ დაინტერესებულ მხარესთან უკუკავშირი ყოველდღიურად აქვთ. ვურჩევთ, უკუკავშირის მეთოდოლოგია გათვალისწინებული იყოს სკოლის სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სადამრიგებლო პროგრამები;**
- **სასკოლო პროექტები;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, არასაკმარისი რესურსებიდან გამომდინარე, არ აქვს საშუალება, უზრუნველყოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში მოსწავლეთა ვიზიტი. მათივე თქმით, უმაღლესი სასწავლებლებიც არ არიან დაინტერესებულნი მოსწავლეებისთვის მოაწყონ „ღია კარის“ დღე და თვითონ მოვიდნენ ვიზიტზე. კარგი იქნება, თუ სკოლა მოიწვევს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარებიან კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ადრეულ ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლას აქვს მზაობა, ჩაატაროს ონლაინ შეხვედრები უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში იკვეთება გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინება. ბევრი კარგი ინიციატივა, რომელიც სკოლაში ტარდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, დასტურდება სურათებით. სკოლას აქვს კარგი ადამიანური რესურსი, რომელთა საშუალებით არის შესაძლებელი მოხდეს სხვადასხვა მომსახურების გაუმჯობესება და მათ შორის მომავალი პროფესიის გაცნობასა და კარიერის დაგეგმვაშიც. ამაში სოფლის მაცხოვრებლების რესურსის გამოყენებაც არის შესაძლებელი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;**

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ- ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების 2022-2023 სასწ. წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა აქტივობას. მასში შედიოდა როგორც ორგანიზაციული საკითხები (მუშა ჯგუფების შექმნა, ისგ ჯგუფების სხდომების ორგანიზება, მეთოდური დახმარების გაწევა და ა.შ) ასევე სხვადასხვა ღონისძიება და აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლის ადაპტირებას სასკოლო სივრცეში და ინდივიდუალური გეგმის მიზნების მიღწევას. მიმდინარე სასწავლო წელს სულ ირიცხება 2 სსსმ მოსწავლე. ორივეს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სპეციალური პედაგოგი აქტიურად მუშაობს სსსმ მოსწავლეებთან მათი აკადემიური უნარების განვითარებაზე, ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ქცევის კორექციაზე, როგორც საკლასო სივრცეში, ასევე რესურსოთახში. სსსმ მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები. ასევე, სსსმ მოსწავლეების ქცევის კორექციის და თანაკლასელებთან სოციალიზაციის მიზნით, არაფორმალურ გარემოში მიმდინარეობდა შეხვედრები, სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სპეციალისტებიც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო აქტივობებში, როგორიცაა: ექსკურსიები, სკოლის ეზოს მოვლა, სპორტული ღონისძიებები. სპეც. პედაგოგის თქმით ამან ხელი შუწყო ბავშვებში განსხვავებულის მიმღებლობის ამაღლებას და ყველა ბავშვის ადაპტირებას სასკოლო სოციუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის მექანიზმი;
- რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით;
- სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ- ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლა არ ახორციელებს გახანგრძლივებული დღის სწავლების რეჟიმს, არც კვების, ტრანსპორტირების და საერთო საცხოვრებლით მომსახურებას. **ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

2. სსიპ- ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. შესაბამისად არ გააჩნია მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესი. **ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

3. სსიპ- ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას და არ აქვს შემუშავებული უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმები. **ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ინტერვიუს შედეგები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, რომლითაც იხელმძღვანელებს 2023-2024 სასწავლო წელს. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება სასკოლო კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესები და შეხედულებები არის გათვალისწინებული. აზრთა გაზიარება, ინტერესებსა და შეხედულებებზე მსჯელობა მიმდინარეობს კათედრებზე, მშობელთა კრებებზე და საჭიროების შემთხვევაში სოციალური ქსელის მეშვეობით. მასწავლებლები, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, ითვალისწინებენ გასული წლის გამოცდილებასაც, მშობლებსა და მოსწავლეებთან ატარებენ კვლევებს კითხვარების საშუალებით, მიღებულ შედეგებს კი იყენებენ კურიკულუმის შემუშავების დროს. მეთოდოლოგიის მიხედვით, როგორც საგნობრივი ჯგუფის ექსპერტები აღნიშნავენ, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრები განიხილავენ საგნის პედაგოგების მიერ შემუშავებულ ახალ საგნობრივ კურიკულუმებს წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ

მოდიფიცირებას. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. პედაგოგები სასკოლო კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ინფორმაციას აწვდიან მშობლებს პირისპირი შეხვედრებითა და მშობლის ბარათებით. კათედრების შეხვედრებზე, რომელიც იმართება, როგორც ონლაინ თიმსის პლათფორმაზე, ასევე პირისპირ, მასწავლებლები გასული წლის სამუშაო პროცესს რეფლექსიებითა და მიგნებებით აჯამებენ, შემდეგ კი ანალიზის საფუძველზე მიღებულ შედეგებს გამოიყენებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების დასაგეგმად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის სასწავლო გეგმა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საგნობრივ მიმართულებებში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი შედგენილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მოსწავლის როლი წამყვანია კურიკულუმების განვითარებაში, რომლებშიც ჩაშენებული ყველა აქტივობა ეფუძნება მოსწავლეების უკუკავშირს, გამოცდილებას, ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, თვითშეფასებას და თანაშეფასებას. სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე სხვადასხვა სასწავლო და სოციალური პროექტის განხორციელება. დირექციისა და მასწავლებელთა ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლის მოსწავლეები. მათი ინიცირებით სკოლაში შეიქმნა კლუბები, რომლის ფარგლებში მოეწყო კონფერენციები და განხორციელდა სხვადასხვა პროექტი. ერთერთი ასეთი პროექტი იყო „გავუფრთხილდეთ და დავიცვათ გარემო“, რომელშიც ჩართული იყვნენ მეორე და მესამე კლასის მოსწავლეები. პროექტის მიზანი იყო მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. წარმოდგენილია ასევე მშობელთა უკუკავშირის ფორმა (დანართი 47), რაც მშობელთა ინტერესების გათვალისწინების დამადასტურებელი დოკუმენტია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკითხება და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება, გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მასწავლებლების სამუშაო შეხვედრები საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა კურიკულუმის

განვითარებისა და სრულყოფის მიზნით. სასწავლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მოთხოვნების შესაბამისად შეირჩა თემები, სამიზნე ცნებები, სასწავლო საკითხები. წარმოადგინეს კომპლექსური დავალებები, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები, აქტივობები, რესურსები. ინდიკატორს ადასტურებს ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის, კათედრის, ადმინისტრაციის როლი შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან, კათედრები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით, აფასებენ განვლილ სასწავლო პროცესს და გეგმავენ მიზნობრივ აქტივობებს, აზიარებენ კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებების იდეებს.
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ატარებენ მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს, ასევე უგზავნიან ჯგუფებში მშობლის ბარათებს, კომპლექსური დავალების იდეებს, წინასწარ აცნობენ თუ რა რესურსები დასჭირდებათ ბავშვებს სასწავლო წლის განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს. ინდიკატორს ადასტურებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც, რომლის მიხედვით სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადახვა არხებით (სოციალური მედია, ელექტრონული ფოსტა, ნაბეჭდი მასალები და სხვა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ჩარჩოები;**
- **დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია".**

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა საგნის კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით სავალდებულო სასწავლო თემებით, სამიზნე ცნებებით და მათთან დაკავშირებული საკითხებით, რესურსებით, კომპლექსური დავალებებითა და კონტექსტ მაგალითებით, ჩანს რა გრძელვადიანი მიზნით უნდა ასწავლონ მოსწავლეს. კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც მასწავლებლებთან გასაუბრებისას. მათ აღნიშნეს, რომ კურიკულუმები შეიმუშავეს და დაგეგმეს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით, სადაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წინარე გამოცდილებები, ინტერესები, მათი ფიზიკური და კოგნიტური შესაძლებლობები. მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლისა და ცოდნის პროცესის წარმმართველი. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, რომ ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული კურიკულუმები მომავალშიც იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროგრამის აღმწერი დოკუმენტის - კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირით. ასევე წარმოდგენილია თემები, თემის ფარგლებში მოცემულია საკითხები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებშიც მუშავდება სამიზნე ცნებები და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიან შესწავლას. შემუშავებული კურიკულუმების, დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულების, დაგეგმილი პროექტების და სხვადასხვა აქტივობების განხორციელების პროცესი ხელს

უწყობს როგორც კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ასევე კომუნიკაციის, თანამშრომლობითი, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარებას. იგივე დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე მიმდინარე სასწავლო პროცესები ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო გარემო მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს, შესაძლებლობებს და მიდრეკილებებს. მათზე მორგებული დავალებები, შექმნილი სასწავლო რესურსები, სასწავლო მასალა, გარემო, ასევე სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შეთავაზებული სხვადასხვა კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები, სხვადასხვა პროექტები, სადაც მოსწავლეებს აქვთ არჩევანის გაკეთების საშუალება მათი სურვილისამებრ, დასტურია იმისა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები რუბრიკების სახით, რის საფუძველზეც შესაძლებელია სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე მსჯელობა. კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგადაც დადასტურდა იგივე დამოკიდებულება შეფასებასთან დაკავშირებით. აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება მიმართულია სწავლის დინამიკის შესაფასებლად, ხოლო განმსაზღრელი შეფასებით აფასებენ მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან მიმართებაში. იყენებენ შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: განმავითარებელი კომენტარს, ზეპირ და წერილობით უკუკავშირებს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების სქემებს და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საგანში არ აქვთ კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების გამოცდილება და გეგმავენ ამ მიმართულებით მუშაობას და განვითარებას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების სქემების შემუშავების პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლაში საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ესგ-ს მისაღწევი მიზნები. ძირითადი მუშაობა მიმდინარეობს კათედრებზე, სადაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ წარმატებულ

გამოცდილებას, ხდება ინფორმაციის მოგროვება მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, აქტიურად ხდება ურთიერთდასწრება. საუბრისას არკვევენ, რა გაკეთდა კარგად, რა გაუჭირდათ მოსწავლეებს, რომელი კომპლექსური დავალება გავიდა მიზანზე. კლასების აკადემიური მოსწრების გაანალიზება მათ საშუალებას აძლევს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები დაადგინონ, რასაც შემდეგ ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის გადამუშავებისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია**
- **შეფასების რუბრიკები**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისთვის შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9.10.2024)

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი ან/და განხორციელებული პროექტები, სხვადასხვა აქტივობები და მათი განხორციელების პროცესი მოიაზრებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების და ძალების მობილიზებას. სკოლაში არსებული მამოტივირებელი გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას და შემოქმედებით პროცესში მათ მაქსიმალურად ჩართულობას: კომპიუტერული ლაბორატორია, საპრეზენტაციო ოთახი, რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტის ოთახი, სიძველეების კუთხე, სპორტული მოედანი. იგივე აღნიშნეს მასწავლებლებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები ადასტურებს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი

კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებების გამოყენებას არ ჰქონდა სისტემატური სახე, როგორც თვითშეფასების ფორმაში წერია, მაგრამ მომავალ სასწავლო წელს უფრო მეტი აქტივობები იგეგმება. 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა დაწყებითი საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ინტერვიურების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. სწავლა-სწავლების პროცესში, ისინი მოსწავლეებს განუმარტავენ არა მარტო იმას, რა ისწავლონ, არამედ როგორ ისწავლონ, რა მეთოდები, სტრატეგიები გამოიყენონ სწავლის დროს და როგორ დაეხმარებათ მათ ეს მეთოდები და სტრატეგიები ახალი მასალის შესწავლასა და ათვისებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. ქინძათის სკოლაში სასწავლო პროცესის კომპლექსური დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სკოლის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მრავლადაა განხორციელებული პროექტები და აქტივობები. მათზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებითად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად მითითებულია კომპლექსური დავალებების ბანკი, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებაში და

ურთიერთდაკავშირებაში. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი აგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ისეა დაგეგმილი, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კურიკულუმები**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული საგნის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია

სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. მტკიცებულებად წარმოდგენილია ქართულ ენასა და ლიტერატურაში მესამე კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება და მასწავლებლის რეფლექსია, რომელიც ცხადყოფს, რომ დაწყებით საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ქინძათის სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესი. შესაბამისად, ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლები სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს, საკითხებს თემის შიგნით მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი პიროვნული განვითარების თვალსაზრისით წარმართავენ. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა, ადაპტირება მოახდინოს გარემოსთან, ირგვლივ მყოფების მიმართ გამოამჟღავნოს ნდობა და პატივისცემა, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და ამავდროეულად გაუგოს თანატოლებსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ჰოლისტურია. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდამჭერი და მეტად ეფექტური სისტემის დანერგვა. მასწავლებლები გეგმავენ შეიმუშავონ შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიით, რომლებსაც გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შეფასების დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური - რადგან ეს სქემები შესაბამისია საგნობრივი სტანდარტების მიზნებთან, სანდო - ზუსტად შერჩეულია გასაზომი კრიტერიუმები, სამართლიანი - დამოკიდებულია ობიექტურ შეფასებაზე და არა შემფასებელზე, შეუძლებელია ერთი და იგივე ნაშრომი

სხვადასხვაგვარად შეფასდეს. გამჭვირვალე - მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან და ერთობლივადაც შეიმუშავებენ შეფასების სქემებს, თუ რა კრიტერიუმებით, რა ინსტრუმენტებით უნდა შეფასდეს მოსწავლის ნაშრომი. შეფასების სისტემის გამჭვირვალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, რაც მოიაზრებს შეფასების სისტემის გაცნობასაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. ინტერვიურებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახდენენ კათედრაზე. ასევე ხდება შეფასების მტკიცებულებების შენახვა და კათედრა უზრუნველყოფს მონაცემების შეგროვებას. აღნიშნული მტკიცებულებების შესწავლისას ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებთან მოსწავლის ნაშრომის შესაბამისობის დადგენა, შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა როგორც დავალებებთან, ისე გრძელვადიან მიზნებთან და მის მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს აღნიშნული მექანიზმი, თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი დოკუმენტურად შემუშავებული. სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა, მიმდინარე წლის 30 აგვისტოს, დირექტორის მ/შ-ს მიერ ბრძანება N2-56 დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვიშეფასების კითხვარში აღიშნულია, რომ სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალებების შეფასების ანალიზს და თითოეული მოსწავლის ნაშრომი აქვთ შენახული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის ჩარჩო;**
- **შეფასების რუბრიკები.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მხარდამჭერი, მიმღებლობითი, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული გარემო. სწავლის პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული. სკოლაში სსსმ მოსწავლეებისთვის ასევე შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, მათი საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც უზრუნველყოფს ერთმანეთის მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. მტკიცებულებებიდან ჩანს და გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მოსწავლის მიღწეული შედეგი. ეს აისახება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში, კერძოდ, შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებსა და დავალებების იდეებში. მაგალითად, მეორე ენის, გერმანულის მიმართულებით, „ჩემი ცხოვრება და ჩემი ოჯახი“, აღნიშნული დავალების შესასრულებლად, მოსწავლე საკუთარ ინტერესებს, საკუთარ გამოცდილებას უკავშირდება, მისი მზადება ამ

დავალების შესასრულებლად კი (ეტაპების გავლისას), მხარდაჭერილია მასწავლებლის მხრიდან. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მოსწავლეების შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმავითარებელი შეფასებით, სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის თითოეული მოსწავლე დგას სასწავლო პროცესის ცენტრში, ისინი მუდმივად ცდილობენ მოსწავლის მხარდაჭერასა და მასზე ორიენტირებას. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომლის მიზანია მოსწავლეებში ცალკეულ საგანში ესგ-თი განსაზღვრული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება, ასევე, ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც ემსახურება მოსწავლეებისათვის საჭირო ცოდნის გადაცემას და მათი მომავალი ცხოვრებისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც ასევე სკოლის მისიაშია გაცხადებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, როდესაც სასკოლო საზოგადოების თითეული წევრი გაერთიანებულია საერთო ღირებულებების და ინტერესების გარშემო, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით, ქმნის და ხელს უწყობს სასწავლო პროცესში სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო კლიმატის დამკვიდრებაზე, თანამშრომლობითი კულტურის გაღრმავებაზე. სკოლა გეგმავს თანამშრომელთა წახალისებისა და მასტიმულირებელი სისტემის ამოქმედებას, წარმატებული მოსწავლეების წახალისებას, უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნას, საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაციას, ინტეგრირებულ სწავლებას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით და ა. შ. მასწავლებელთა საქმიანობიდან, სასკოლო კურიკულუმებიდან, ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პოზიტიური კლიმატი სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების მთავარი საზრუნავია და მრავალფეროვან აქტივობებს და ღონისძიებებს გეგმავენ და ახორციელებენ აღნიშნული საკითხის უზრუნველსაყოფად. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად გამოიკვეთა პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ქინძათის საჯარო სკოლის თვითშეფასების ანგარიში;**
- **ქინძათის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლაში ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. მონიტორინგი და შეფასება

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და ერწყმის სასწავლო პროცესს. ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კათედრები მუდმივად იკრიბებიან და აანალიზებენ ჩატარებულ სამუშაოებს, შემდეგ საჭიროების შესაბამისად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას. მხარდამჭერის ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან, ერთობლივი მუშაობით უზრუნველყოფენ ამ პროცესების წარმართვას სკოლაში. გამოხატავენ მზაობას და ნებას მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს მასწავლებლის მხარდაჭერას და დახმარებას. ჯგუფის წევრები აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესს, აწარმოებენ შეფასებას და უზრუნველყოფენ განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. პედაგოგებიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ეს საქმიანობა დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით. შეფასება და მონიტორინგი მიმდინარეობს ორი მიმართლებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ხდება ამ პროცესში აღმოჩენილი პრობლემების და ხარვეზების იდენტიფიცირება, შემდეგ მიმდინარეობს გამოვლენილი პრობლემების და ხარვეზების წარმოშობის მიზეზების დადგენა, ისახება მათი გადაჭრის გზები და მეთოდები. სკოლაში ეს პროცესები წარმატებით მიმდინარეობს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სკოლის თვითშეფასების კითხვარი;**
- **ინტერვიუ პედაგოგებთან.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შეფასების პროცესი სხვადასხვა მიმართულებით წარმოებს და მრავალფეროვან წყაროებს ეყრდნობა. კერძოდ მოსწავლეთა შეფასება ხდება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. წარმოდგენილია ორივე ტიპის რუბრიკები. ასევე, წარმოდგენილი მასალების მიხედვით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასების პროცესში ისინი ეყრდნობიან მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვა, ანკეტირება, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისათვის, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, მასწავლებლის პორტფოლიოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს, აფასებებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს: დაკვირვება, აღრიცხვის ფურცელი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებელები მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას, სკოლა მონაწილეობს სამინისტროს შეთავაზებულ სადიაგნოსტიკო ტესტირებებში. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ

მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს, რაც საშუალებას აძლევს მათ სწავლების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ მთელი რიგი ფაქტორები სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;**
- **თვითშეფასების ფორმა;**
- **შეფასების რუბრიკები.**

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და პედაგოგებმაც დაადასტურეს გასაუბრების დროს, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან/და მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა. სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული მასწავლებელი მონაწილეობს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის კურიკულუმების განახლებისათვის, რაც აისახება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოყენების პრაქტიკა, რასაც ეფუძნება სასწავლო პროცესების იმგვარი დაგეგმვა, რომ მიღწეული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;**

- **კურიკულუმის ჩარჩო.**

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, რომლითაც იხელმძღვანელებს 2023-2024 სასწავლო წელს. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება სასკოლო კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესები და შეხედულებები არის გათვალისწინებული. აზრთა გაზიარება, ინტერესებსა და შეხედულებებზე მსჯელობა მიმდინარეობს კათედრებზე, მშობელთა კრებებზე და საჭიროების შემთხვევაში სოციალური ქსელის მეშვეობით. მასწავლებლები, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, ითვალისწინებენ გასული წლის გამოცდილებასაც, მშობლებსა და მოსწავლეებთან ატარებენ კვლევებს კითხვარების საშუალებით, მიღებულ შედეგებს კი იყენებენ კურიკულუმის შემუშავების დროს. მეთოდოლოგიის მიხედვით, როგორც საგნობრივი ჯგუფის ექსპერტები აღნიშნავენ, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრები განიხილავენ საგნის პედაგოგების მიერ შემუშავებულ ახალ საგნობრივ კურიკულუმებს წინარე გამოცდილების

გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ მოდიფიცირებას. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. პედაგოგები სასკოლო კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ინფორმაციას აწვდიან მშობლებს პირისპირ შეხვედრებითა და მშობლის ბარათებით. კათედრების შეხვედრებზე, რომელიც იმართება, როგორც ონლაინ თიმსის პლათფორმაზე, ასევე პირისპირ, მასწავლებლები გასული წლის სამუშაო პროცესს რეფლექსიებითა და მიგნებებით აჯამებენ, შემდეგ კი ანალიზის საფუძველზე მიღებულ შედეგებს გამოიყენებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების დასაგეგმად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის სასწავლო გეგმა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საგნობრივ მიმართულებებში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი შედგენილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მოსწავლის როლი წამყვანია კურიკულუმების განვითარებაში, რომლებშიც ჩაშენებული ყველა აქტივობა ეფუძნება მოსწავლეების უკუკავშირს, გამოცდილებას, ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, თვითშეფასებას და თანაშეფასებას. სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე სხვადასხვა სასწავლო და სოციალური პროექტის განხორციელება. დირექციისა და მასწავლებელთა ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლის მოსწავლეები. მათი ინიცირებით სკოლაში შეიქმნა კლუბები, რომლის ფარგლებში მოეწყო კონფერენციები და განხორციელდა სხვადასხვა პროექტი. ერთერთი ასეთი პროექტი იყო „ბავშვებს სჭირდებათ სუფთა გარემო“, რომელშიც ჩართული იყვნენ ყველა კლასის მოსწავლე, მშობლები და თემის წარმომადგენლები (დანართი 76). პროექტის მიზანი მოსწალეთა სამოქალაქო და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება იყო. წარმოდგენილია ასევე მშობელთა უკუკავშირის ფორმა (დანართი 47), რაც მშობელთა ინტერესების გათვალისწინების დამადასტურებელი დოკუმენტია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკითხება და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ

კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება, გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მასწავლებლების სამუშაო შეხვედრები საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა კურიკულუმის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით. სასწავლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მოთხოვნების შესაბამისად შეირჩა თემები, სამიზნე ცნებები, სასწავლო საკითხები. წარმოადგინეს კომპლექსური დავალებები, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები, აქტივობები, რესურსები. ინდიკატორს ადასტურებს ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის, კათედრის, ადმინისტრაციის როლი შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან, კათედრები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით, აფასებენ განვლილ სასწავლო პროცესს და გეგმავენ მიზნობრივ აქტივობებს, აზიარებენ კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებების იდეებს.
   ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ატარებენ მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს, ასევე უგზავნიან ჯგუფებში მშობლის ბარათებს, კომპლექსური დავალების იდეებს, წინასწარ აცნობენ თუ რა რესურსები დასჭირდებათ ბავშვებს სასწავლო წლის განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს. ინდიკატორს ადასტურებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც, რომლის მიხედვით სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადახვა არხებით (სოციალური მედია, ელექტრონული ფოსტა, ნაბეჭდი მასალები და სხვა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ჩარჩოები;**
- **დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია".**
- **დანართი 76 - სასწავლო პროექტი**

- **დანართი 47- მშობელთა უკუკავშირის ფორმა**

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა საგნის კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით სავალდებულო სასწავლო თემებით, სამიზნე ცნებებით და მათთან დაკავშირებული საკითხებით, რესურსებით, კომპლექსური დავალებებითა და კონტექსტ მაგალითებით, ჩანს რა გრძელვადიანი მიზნით უნდა ასწავლონ მოსწავლეს. კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც მასწავლებლებთან გასაუბრებისას. მათ აღნიშნეს, რომ კურიკულუმები შეიმუშავეს და დაგეგმეს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით, სადაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წინარე გამოცდილებები, ინტერესები, მათი ფიზიკური და კოგნიტური შესაძლებლობები. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, რომ ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული კურიკულუმები მომავალშიც იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა.

კონკრეტულად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში სავალდებულო ველები სრულყოფილად იყო შესებული საბაზო საფეხურის VII, IX კლასის კურიკულუმებში, ეს მიანიშნებს, რომ გამოცდილების გაზიარებითა და თანამშრომლობით VIII კლასის კურიკულუმიც გაუმჯობესდება, რაც დაადასტურეს კიდეც ინტერვიუს დროს.
საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში (ქიმიის VIII და IX კლასები, ფიზიკისა და ბიოლოგიის VII, VIII და IX კლასები) ძირითადად სწორად არის შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით; ასევე, რიგ შემთხვევაში არის ასახული კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები.
უცხო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ დაგეგმილ თემატურ ბლოკებში არ არის ყველგან ჩაშენებული კომპლექსური დავალების პირობა. მეორე უცხოურ ენაში (გერმანულში) წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალების იდეა, ამ კონკრეტული კომპლექსური დავალების იდეიდან, კურიკულუმის ჩარჩოდან გამომდინარე და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა გამოხატავს სრულ მზაობას ამ მიმართულებით წარმატებით გააგრძელოს საქმიანობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. საბაზო საფეხურის სასწავლო პროგრამის აღმწერი დოკუმენტის - კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირით. ასევე წარმოდგენილია თემები, თემის ფარგლებში მოცემულია საკითხები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებშიც მუშავდება სამიზნე ცნებები და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიან შესწავლას. შემუშავებული კურიკულუმების, დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულების, დაგეგმილი პროექტების და სხვადასხვა აქტივობების განხორციელების პროცესი ხელს უწყობს როგორც კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ასევე კომუნიკაციის, თანამშრომლობითი, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარებას. იგივე დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე მიმდინარე სასწავლო პროცესები ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო გარემო მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს, შესაძლებლობებს და მიდრეკილებებს. მათზე მორგებული დავალებები, შექმნილი სასწავლო რესურსები, სასწავლო მასალა, გარემო, ასევე სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შეთავაზებული სხვადასხვა კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები, სხვადასხვა პროექტები, სადაც მოსწავლეებს აქვთ არჩევანის

გაკეთების საშუალება მათი სურვილისამებრ, დასტურია იმისა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი (ე.წ. მე-12 რესურსი). როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ზოგადი შეფასების რუბრიკების ცხრილი, ასევე, ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლაში საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ესგ-ს მისაღწევი მიზნები. ძირითადი მუშაობა მიმდინარეობს კათედრებზე, სადაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ წარმატებულ გამოცდილებას, ხდება ინფორმაციის მოგროვება მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, აქტიურად ხდება ურთიერთდასწრება. საუბრისას არკვევენ, რა გაკეთდა კარგად, რა გაუჭირდათ მოსწავლეებს, რომელი კომპლექსური დავალება გავიდა მიზანზე. კლასების აკადემიური მოსწრების გაანალიზება მათ საშუალებას აძლევს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები დაადგინონ, რასაც შემდეგ ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის გადამუშავებისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბაზო საფეხურის კურიკულუმები**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია**
- **შეფასების რუბრიკები**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა**

- **ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისთვის შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9.10.2024)
რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს ლაბორატორიების მოწყობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერების გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისთვის, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9.10.2024)

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას. მიუხედევად იმისა, რომ სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში, მასწავლებლები ცდილობდნენ სიახლეებს თავად გასცნობოდნენ და მათი გათვალსიწინებით დაეგეგმათ სასწავლო პროცესი. იყენებდნენ კომპლექსური დავალებების ბანკს და ახორციელებდნენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (რესურსი 12) ასახულია VII კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში განხორციელებული კომპლექსური დავალება - პირადი თვალსაზრისის ამსახველი ესეს დაწერა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის შესახებ (შ. ნიშნიანიძის ლექსისა და ,,აფხაზი გოგონას დღიურის“ გათვალისწინებით). დოკუმენტაციაში (დანართი 76) არის ყველა საფეხურზე ჩატარებული სასწავლო პროექტი, კითხვის კლუბის წევრთა სია და ანკეტები (დანართი 37), რაც ადასტურებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. სკოლის გამოცდილება, კომპლექსური დავალებები და პროექტული სწავლება მოსწავლეებს უვითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს, აღძრავს შინაგან მოტივაციას და უზრუნველყოფს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები ადასტურებს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებების გამოყენებას არ ჰქონდა სისტემატური სახე, როგორც თვითშეფასების ფორმაში წერია, მაგრამ მომავალ სასწავლო წელს უფრო მეტი აქტივობები იგეგმება. 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ინტერვიურების დროს

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. სწავლა-სწავლების პროცესში, ისინი მოსწავლეებს განუმარტავენ არა მარტო იმას, რა ისწავლონ, არამედ როგორ ისწავლონ, რა მეთოდები, სტრატეგიები გამოიყენონ სწავლის დროს და როგორ დაეხმარებათ მათ ეს მეთოდები და სტრატეგიები ახალი მასალის შესწავლასა და ათვისებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. ქინძათის სკოლაში სასწავლო პროცესის კომპლექსური დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სკოლის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მრავლადაა განხორციელებული პროექტები და აქტივობები. მათზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებითად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. ქინძათის სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურზე ხშირად მიმართავენ ინტეგრირებულ სასწავლო აქტივობებს, რადგან სხვადასხვა საგნის ინტეგრირებით დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს ცოდნის უკეთესად ორგანიზებას. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი აგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ისეა დაგეგმილი, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მაგალითად, გერმანულ ენაში კომპლექსური დავალების „დაგეგმე მოგზაურობა“ შესასრულებლად მოსწავლეს უწევს ექვსივე გლობალურ-ფუნქციური უნარის ჩართვა. გარდა ამისა, საგნის ჭრილში ის აერთიანებს უკვე დაუფლებულ ენობრივ უნარებს და უმატებს ახლად დაუფლებულ ენობრივ საშუალებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კურიკულუმები**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული საგნის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები ცხადყოფს, რომ საბაზო საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები

მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ქინძათის სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესი. შესაბამისად, ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლები სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს, საკითხებს თემის შიგნით მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი პიროვნული განვითარების თვალსაზრისით წარმართავენ. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა, ადაპტირება მოახდინოს გარემოსთან, ირგვლივ მყოფების მიმართ გამოამჟღავნოს ნდობა და პატივისცემა, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და ამავდროეულად გაუგოს თანატოლებსაც. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა ისაუბრა, რა გავლენა მოახდინა მოსწავლეებზე კომპლექსური დავალების „პირადი თვალსაზრისის ამსახველი ესე ქართულ-აფხაზური ურთიერთობის შესახებ“ (შ. ნიშნიანიძის ლექსისა და ,,აფხაზი გოგონას დღიურის“ გათვალისწინებით) განხორციელებამ ფსიქო-ემოციური განვითარების კუთხით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები (შეფასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკა, შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები (სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შეირჩა მე-2 და მე-3 ინსტრუმენტი) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მომდევნო სასწავლო წლის სექტემბრამდე დაგეგმილია განმსაზღვრელი და

განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა ახალ კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილი კომპლექსური დავალებების შესაბამისად, თემების მიხედვით. წარმოადგინეს როგორც ქოუჩინგის დროს შექმნილი შეფასების რუბრიკები, ისე აქამდე გამოყენებული შეფასების სხვადასხვა რუბრიკა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური - რადგან ეს სქემები შესაბამისია საგნობრივი სტანდარტების მიზნებთან, სანდო - ზუსტად შერჩეულია გასაზომი კრიტერიუმები, სამართლიანი - დამოკიდებულია ობიექტურ შეფასებაზე და არა შემფასებელზე, შეუძლებელია ერთი და იგივე ნაშრომი სხვადასხვაგვარად შეფასდეს. გამჭვირვალე - მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან და ერთობლივადაც შეიმუშავებენ შეფასების სქემებს, თუ რა კრიტერიუმებით, რა ინსტრუმენტებით უნდა შეფასდეს მოსწავლის ნაშრომი. შეფასების სისტემის გამჭვირვალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, რაც მოიაზრებს შეფასების სისტემის გაცნობასაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. ინტერვიურებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახდენენ კათედრებზე. ასევე ხდება შეფასების მტკიცებულებების შენახვა და კათედრა უზრუნველყოფს მონაცემების შეგროვებას. აღნიშნული მტკიცებულებების შესწავლისას ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებთან მოსწავლის ნაშრომის შესაბამისობის დადგენა, შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა როგორც დავალებებთან, ისე გრძელვადიან მიზნებთან და მის მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს აღნიშნული მექანიზმი, თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი დოკუმენტურად შემუშავებული. სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა, მიმდინარე წლის 30 აგვისტოს, დირექტორის მ/შ-ს მიერ ბრძანება N2-56 დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვიშეფასების კითხვარში აღიშნულია, რომ სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალებების შეფასების ანალიზს და თითოეული მოსწავლის ნაშრომი აქვთ შენახული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის ჩარჩო;**
- **შეფასების რუბრიკები.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მხარდამჭერი, მიმღებლობითი, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული გარემო. სწავლის პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული. სკოლაში სსსმ მოსწავლეებისთვის ასევე შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, მათი საჭიროებების შესაბამისად

შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც უზრუნველყოფს ერთმანეთის მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. მტკიცებულებებიდან ჩანს და გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მოსწავლის მიღწეული შედეგი. ეს აისახება საბაზო საფეხურის კურიკულუმში, კერძოდ, შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებსა და დავალებების იდეებში. მაგალითად, მეორე ენის, გერმანულის მიმართულებით, „გაიხსენე შემთხვევა შენი ცხოვრებიდან, როდესაც რაიმე დაიზიანე. დახატე ამბავი კომიქსის სახით“. აღნიშნული დავალების შესასრულებლად, მოსწავლე საკუთარ ინტერესებს, საკუთარ გამოცდილებას უკავშირდება, მისი მზადება ამ დავალების შესასრულებლად კი (ეტაპების გავლისას), მხარდაჭერილია მასწავლებლის მხრიდან. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მოსწავლეების შეფასება საბაზო საფეხურზე ხდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით, სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის თითოეული მოსწავლე დგას სასწავლო პროცესის ცენტრში, ისინი მუდმივად ცდილობენ მოსწავლის მხარდაჭერასა და მასზე ორიენტირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, როდესაც სასკოლო საზოგადოების თითეული წევრი გაერთიანებულია საერთო ღირებულებების და ინტერესების გარშემო, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით, ქმნის და ხელს უწყობს სასწავლო პროცესში სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო კლიმატის დამკვიდრებაზე, თანამშრომლობითი კულტურის გაღრმავებაზე. სკოლა გეგმავს თანამშრომელთა წახალისებისა და მასტიმულირებელი სისტემის ამოქმედებას, წარმატებული მოსწავლეების წახალისებას, უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნას, საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაციას, ინტეგრირებულ სწავლებას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით და ა. შ. მასწავლებელთა საქმიანობიდან, სასკოლო კურიკულუმებიდან, ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პოზიტიური კლიმატი სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების მთავარი საზრუნავია და მრავალფეროვან აქტივობებს და ღონისძიებებს გეგმავენ და ახორციელებენ აღნიშნული საკითხის უზრუნველსაყოფად. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად გამოიკვეთა პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ქინძათის საჯარო სკოლის თვითშეფასების ანგარიში;**
- **ქინძათის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლაში ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და ერწყმის სასწავლო პროცესს. ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კათედრები მუდმივად იკრიბებიან და აანალიზებენ ჩატარებულ სამუშაოებს, შემდეგ საჭიროების შესაბამისად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას. მხარდაჭერის ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან, ერთობლივი მუშაობით უზრუნველყოფენ ამ პროცესების წარმართვას სკოლაში. გამოხატავენ მზაობას და ნებას მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს მასწავლებლის მხარდაჭერას და დახმარებას. ჯგუფის წევრები აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესს, აწარმოებენ შეფასებას და უზრუნველყოფენ განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. პედაგოგებიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ეს საქმიანობა დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით. შეფასება და მონიტორინგი მიმდინარეობს ორი მიმართლებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ხდება ამ პროცესში აღმოჩენილი პრობლემების და ხარვეზების იდენტიფიცირება, შემდეგ მიმდინარეობს გამოვლენილი პრობლემების და ხარვეზების წარმოშობის მიზეზების დადგენა, ისახება მათი გადაჭრის გზები და მეთოდები. სკოლაში ეს პროცესები წარმატებით მიმდინარეობს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**

- **სკოლის თვითშეფასების კითხვარი;**
- **ინტერვიუ პედაგოგებთან.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა შეფასებისას იყენებს საგნის სტანდარტის ფარგლებში კათედრებზე შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, სკოლა გეგმავს ჩაატაროს დიაგნოსტიკური ტესტირებები, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს, აფასებებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს: შეფასებების შედეგების ანალიზი, ქვიზები, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას, სკოლა მონაწილეობს სამინისტროს შეთავაზებულ სადიაგნოსტიკო

ტესტირებებში. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს, რაც საშუალებას აძლევს მათ სწავლების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები საბაზო საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ მთელი რიგი ფაქტორები სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;**
- **თვითშეფასების ფორმა;**
- **შეფასების რუბრიკები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების შედეგების ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოყენების პრაქტიკა, რასაც ეფუძნება სასწავლო პროცესების იმგვარი დაგეგმვა, რომ მიღწეული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;**
- **კურიკულუმის ჩარჩო.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საშუალო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში ნათლად გაწერილია კურიკულუმის განვითარების ყველა ეტაპი (კურიკულუმის შემუშავება, კურიკულუმის დანერგვა/რეალიზება, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია), რა დროსაც ძირითადი დასაყრდენი, სწორედ, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტებია. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესები და შეხედულებები არის გათვალისწინებული. აზრთა გაზიარება, ინტერესებსა და შეხედულებებზე მსჯელობა მიმდინარეობს კათედრებზე, მშობელთა კრებებზე და საჭიროების შემთხვევაში სოციალური ქსელის მეშვეობით. მასწავლებლები, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, ითვალისწინებენ გასული წლის გამოცდილებას, მშობლებსა და მოსწავლეებთან ატარებენ კვლევებს კითხვარების საშუალებით, მიღებულ შედეგებს კი იყენებენ კურიკულუმის შემუშავების დროს. მეთოდოლოგიის მიხედვით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრები განიხილავენ საგნის პედაგოგების მიერ შემუშავებულ ახალ საგნობრივ კურიკულუმებს წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ მოდიფიცირებას. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. პედაგოგები

სასკოლო კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ინფორმაციას აწვდიან მშობლებს პირისპირ შეხვედრებითა და მშობლის ბარათებით. კათედრების შეხვედრებზე მასწავლებლები გასული წლის სამუშაო პროცესს რეფლექსიებითა და მიგნებებით აჯამებენ, შემდეგ კი ანალიზის საფუძველზე მიღებულ შედეგებს გამოიყენებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების დასაგეგმად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის სასწავლო გეგმა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საგნობრივ მიმართულებებში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი შედგენილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მოსწავლის როლი წამყვანია კურიკულუმების განვითარებაში, რომლებშიც ჩაშენებული ყველა აქტივობა ეფუძნება მოსწავლეების უკუკავშირს, გამოცდილებას, ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, თვითშეფასებას და თანაშეფასებას. სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე სხვადასხვა სასწავლო და სოციალური პროექტის განხორციელება. დირექციისა და მასწავლებელთა ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლის მოსწავლეები. მათი ინიცირებით სკოლაში შეიქმნა კლუბები, რომლის ფარგლებში მოეწყო კონფერენციები და განხორციელდა სხვადასხვა პროექტი. ერთერთი ასეთი პროექტი იყო „ბავშვებს სჭირდებათ სუფთა გარემო“, რომელშიც ჩართული იყვნენ ყველა კლასის მოსწავლე, მშობლები და თემის წარმომადგენლები (დანართი 76). პროექტის მიზანი მოსწალეთა სამოქალაქო და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება იყო. წარმოდგენილია ასევე მშობელთა უკუკავშირის ფორმა (დანართი 47), რაც მშობელთა ინტერესების გათვალისწინების დამადასტურებელი დოკუმენტია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
3. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკითხება და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება, გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მასწავლებლების სამუშაო შეხვედრები საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა კურიკულუმის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით. სასწავლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მოთხოვნების შესაბამისად შეირჩა თემები, სამიზნე ცნებები, სასწავლო საკითხები. წარმოადგინეს კომპლექსური დავალებები, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები, აქტივობები, რესურსები. ინდიკატორს ადასტურებს ასევე

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის, კათედრის, ადმინისტრაციის როლი შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან, კათედრები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით, აფასებენ განვლილ სასწავლო პროცესს და გეგმავენ მიზნობრივ აქტივობებს, აზიარებენ კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებების იდეებს.
   ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ატარებენ მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს, ასევე უგზავნიან ჯგუფებში მშობლის ბარათებს, კომპლექსური დავალების იდეებს, წინასწარ აცნობენ თუ რა რესურსები დასჭირდებათ ბავშვებს სასწავლო წლის განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს. ინდიკატორს ადასტურებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც, რომლის მიხედვით სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადახვა არხებით (სოციალური მედია, ელექტრონული ფოსტა, ნაბეჭდი მასალები და სხვა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ჩარჩოები;**
- **დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია".**
- **დანართი 76 - სასწავლო პროექტი**
- **დანართი 47- მშობელთა უკუკავშირის ფორმა**

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა საგნის კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით სავალდებულო სასწავლო თემებით, სამიზნე ცნებებით და მათთან დაკავშირებული საკითხებით, რესურსებით, კომპლექსური დავალებებითა და კონტექსტ მაგალითებით, ჩანს რა გრძელვადიანი მიზნით უნდა ასწავლონ მოსწავლეს. კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც მასწავლებლებთან გასაუბრებისას. მათ აღნიშნეს, რომ კურიკულუმები შეიმუშავეს და დაგეგმეს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით, სადაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წინარე გამოცდილებები, ინტერესები, მათი ფიზიკური და კოგნიტური შესაძლებლობები. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, რომ ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული კურიკულუმები მომავალშიც იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. საშუალო საფეხურის სასწავლო პროგრამის აღმწერი დოკუმენტის - კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირით. ასევე წარმოდგენილია თემები, თემის ფარგლებში მოცემულია საკითხები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებშიც მუშავდება სამიზნე ცნებები და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიან შესწავლას. შემუშავებული კურიკულუმების, დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულების, დაგეგმილი პროექტების და სხვადასხვა აქტივობების განხორციელების პროცესი ხელს უწყობს როგორც კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ასევე კომუნიკაციის,

თანამშრომლობითი, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარებას. იგივე დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე მიმდინარე სასწავლო პროცესები ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო გარემო მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს, შესაძლებლობებს და მიდრეკილებებს. მათზე მორგებული დავალებები, შექმნილი სასწავლო რესურსები, სასწავლო მასალა, გარემო, ასევე სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შეთავაზებული სხვადასხვა კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები, სხვადასხვა პროექტები, სადაც მოსწავლეებს აქვთ არჩევანის გაკეთების საშუალება მათი სურვილისამებრ, დასტურია იმისა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი (ე.წ. მე-12 რესურსი). როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ზოგადი შეფასების რუბრიკების ცხრილი, ასევე, ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლაში საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ესგ-ს მისაღწევი მიზნები. ძირითადი მუშაობა მიმდინარეობს კათედრებზე, სადაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ წარმატებულ გამოცდილებას, ხდება ინფორმაციის მოგროვება მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, აქტიურად ხდება ურთიერთდასწრება. საუბრისას არკვევენ, რა გაკეთდა კარგად, რა გაუჭირდათ მოსწავლეებს, რომელი კომპლექსური დავალება გავიდა მიზანზე. კლასების აკადემიური მოსწრების გაანალიზება მათ საშუალებას აძლევს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები დაადგინონ, რასაც შემდეგ ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის გადამუშავებისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საშუალო საფეხურის კურიკულუმები**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია**
- **შეფასების რუბრიკები**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა**
- **ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის განხორციელება

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისთვის შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9.10.2024)

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს ლაბორატორიების მოწყობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერების გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისთვის, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (9.10.2024)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას. მიუხედევად იმისა, რომ სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში, მასწავლებლები ცდილობდნენ სიახლეებს თავად გასცნობოდნენ და მათი გათვალსიწინებით დაეგეგმათ სასწავლო პროცესი. იყენებდნენ კომპლექსური დავალებების ბანკს და ახორციელებდნენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (რესურსი 12) ასახულია VII კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში განხორციელებული კომპლექსური დავალება - პირადი თვალსაზრისის ამსახველი ესეს დაწერა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის შესახებ (შ. ნიშნიანიძის ლექსისა და ,,აფხაზი გოგონას დღიურის“ გათვალისწინებით). დოკუმენტაციაში (დანართი 76) არის ყველა საფეხურზე ჩატარებული სასწავლო პროექტი, კითხვის კლუბის წევრთა სია და ანკეტები (დანართი 37), რაც ადასტურებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. სკოლის გამოცდილება, კომპლექსური დავალებები და პროექტული სწავლება მოსწავლეებს უვითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს, აღძრავს შინაგან მოტივაციას და უზრუნველყოფს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები ადასტურებს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებების გამოყენებას არ ჰქონდა სისტემატური სახე, როგორც თვითშეფასების

ფორმაში მითითებული, მაგრამ მომავალ სასწავლო წელს უფრო მეტი აქტივობები იგეგმება. 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ინტერვიურების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. სწავლა-სწავლების პროცესში, ისინი მოსწავლეებს განუმარტავენ არა მარტო იმას, რა ისწავლონ, არამედ როგორ ისწავლონ, რა მეთოდები, სტრატეგიები გამოიყენონ სწავლის დროს და როგორ დაეხმარებათ მათ ეს მეთოდები და სტრატეგიები ახალი მასალის შესწავლასა და ათვისებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. ქინძათის სკოლაში სასწავლო პროცესის კომპლექსური დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სკოლის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მრავლადაა განხორციელებული პროექტები და აქტივობები. მათზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებითად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. ქინძათის სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურზე ხშირად მიმართავენ ინტეგრირებულ სასწავლო აქტივობებს, რადგან სხვადასხვა საგნის ინტეგრირებით დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს ცოდნის უკეთესად ორგანიზებას. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი აგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება

და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ისეა დაგეგმილი, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მაგალითად, გერმანულ ენაში კომპლექსური დავალების „დაგეგმე მოგზაურობა“ შესასრულებლად მოსწავლეს უწევს ექვსივე გლობალურ-ფუნქციური უნარის ჩართვა. გარდა ამისა, საგნის ჭრილში ის აერთიანებს უკვე დაუფლებულ ენობრივ უნარებს და უმატებს ახლად დაუფლებულ ენობრივ საშუალებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კურიკულუმები**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული საგნის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები ცხადყოფს, რომ საშუალო საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ქინძათის სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა, ადაპტირება მოახდინოს გარემოსთან, ირგვლივ მყოფების მიმართ გამოამჟღავნოს ნდობა და პატივისცემა, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და ამავდროეულად გაუგოს თანატოლებსაც. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად. დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები (შეფასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკა, შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები (სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შეირჩა მე-2 და მე-3 ინსტრუმენტი) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მომდევნო სასწავლო წლის სექტემბრამდე დაგეგმილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა ახალ კურიკულუმის ჩარჩოში შეტანილი კომპლექსური დავალებების შესაბამისად, თემების მიხედვით. წარმოადგინეს როგორც ქოუჩინგის დროს შექმნილი შეფასების

რუბრიკები, ისე აქამდე გამოყენებული შეფასების სხვადასხვა რუბრიკა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური - რადგან ეს სქემები შესაბამისია საგნობრივი სტანდარტების მიზნებთან, სანდო - ზუსტად შერჩეულია გასაზომი კრიტერიუმები, სამართლიანი - დამოკიდებულია ობიექტურ შეფასებაზე და არა შემფასებელზე, შეუძლებელია ერთი და იგივე ნაშრომი სხვადასხვაგვარად შეფასდეს. გამჭვირვალე - მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან და ერთობლივადაც შეიმუშავებენ შეფასების სქემებს, თუ რა კრიტერიუმებით, რა ინსტრუმენტებით უნდა შეფასდეს მოსწავლის ნაშრომი. შეფასების სისტემის გამჭვირვალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, რაც მოიაზრებს შეფასების სისტემის გაცნობასაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაშია მითითებული, ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა შექმნის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. ზემო აღნიშნული და სკოლის შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში არის მზაობა დაინერგოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა, მიმდინარე წლის 30 აგვისტოს, დირექტორის მ/შ-ს მიერ ბრძანება N2-56 დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან (მოსწავლის პირადი საქმე) და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლა ზრუნავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვაზე. ინფორმაციის ასახვა ხდება როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე, მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახებოდა ერთი წლით, ხოლო ახლა შეინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის ჩარჩო;**
- **შეფასების რუბრიკები.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მხარდამჭერი, მიმღებლობითი, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული გარემო. სწავლის პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული. სკოლაში სსსმ მოსწავლეებისთვის ასევე შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, მათი საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც უზრუნველყოფს ერთმანეთის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. ეს ასევე გამოხატულია სასწავლო პროგრამებსა და არჩევანის თავისუფლებაში. სკოლა მოსწავლეებს ასარჩევად სთავაზობს მეორე უცხოურ ენას: გერმანულს ან რუსულს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. მტკიცებულებებიდან ჩანს და გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მოსწავლის მიღწეული შედეგი. ეს აისახება საშუალო საფეხურის კურიკულუმში, კერძოდ, შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებსა და დავალებების იდეებში. მაგალითად, მეორე ენის, გერმანულის მიმართულებით, „ჩემი ცხოვრება და ჩემი ოჯახი“. აღნიშნული დავალების შესასრულებლად, მოსწავლე საკუთარ ინტერესებს, საკუთარ გამოცდილებას უკავშირდება, მისი მზადება ამ დავალების შესასრულებლად კი (ეტაპების

გავლისას), მხარდაჭერილია მასწავლებლის მხრიდან. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ განახორციელა პროექტი თემაზე: ,, მგზავრის წერილები“- ილიას ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პროგრამა, რაც მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას და საკითხის უკეთ გააზრებას ურუნველყოფდა.
თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მოსწავლეების შეფასება საშუალო საფეხურზე ხდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით, სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის თითოეული მოსწავლე დგას სასწავლო პროცესის ცენტრში, ისინი მუდმივად ცდილობენ მოსწავლის მხარდაჭერასა და მასზე ორიენტირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, სამოდელო გაკვეთილი, მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო კლიმატის დამკვიდრებაზე, თანამშრომლობითი კულტურის გაღრმავებაზე. მასწავლებელთა საქმიანობიდან, სასკოლო კურიკულუმებიდან, ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პოზიტიური კლიმატი სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების მთავარი საზრუნავია და მრავალფეროვან აქტივობებს და ღონისძიებებს გეგმავენ და ახორციელებენ აღნიშნული საკითხის უზრუნველსაყოფად. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად გამოიკვეთა პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ქინძათის საჯარო სკოლის თვითშეფასების ანგარიში;**
- **ქინძათის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას. მხარდაჭერის ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან, ერთობლივი მუშაობით უზრუნველყოფენ ამ პროცესების წარმართვას სკოლაში. გამოხატავენ მზაობას და ნებას მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს მასწავლებლის მხარდაჭერას და დახმარებას. ჯგუფის წევრები აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესს, აწარმოებენ შეფასებას და უზრუნველყოფენ

განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. პედაგოგებიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ეს საქმიანობა დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით. შეფასება და მონიტორინგი მიმდინარეობს ორი მიმართლებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ხდება ამ პროცესში აღმოჩენილი პრობლემების და ხარვეზების იდენტიფიცირება, შემდეგ მიმდინარეობს გამოვლენილი პრობლემების და ხარვეზების წარმოშობის მიზეზების დადგენა, ისახება მათი გადაჭრის გზები და მეთოდები. სკოლაში ეს პროცესები წარმატებით მიმდინარეობს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სკოლის თვითშეფასების კითხვარი;**
- **ინტერვიუ პედაგოგებთან.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა შეფასებისას იყენებს საგნის სტანდარტის ფარგლებში კათედრებზე შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, სკოლა გეგმავს ჩაატაროს დიაგნოსტიკური ტესტირებები, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეადაროს და წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. ჩანს, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, როლებიც მიმართულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა გამოვლენისა და მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებების შექმნისაკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს, აფასებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს: შეფასებების შედეგების ანალიზი, ქვიზები, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას, სკოლა მონაწილეობს სამინისტროს შეთავაზებულ სადიაგნოსტიკო ტესტირებებში. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს, რაც საშუალებას აძლევს მათ სწავლების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები საშუალო საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ მთელი რიგი ფაქტორები სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;**
- **თვითშეფასების ფორმა;**
- **შეფასების რუბრიკები.**

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების შედეგების ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

   სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოყენების პრაქტიკა, რასაც ეფუძნება სასწავლო პროცესების იმგვარი დაგეგმვა, რომ მიღწეული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;**
- **კურიკულუმის ჩარჩო.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

……
……
……
……

……

16/10/2023

თარიღი



ვლადიმერ ბერიაშვილი